


619
1973
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 11
ნოემბერი
1973



თბილისი. 1973 წლის 5 ოქტომბერი. ს უ რ ა თ ზ ე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. პ. კირილენკო ხალხთა მეგობრობის ორდენს ამაგრებს საქართველოს სს რესპუბლიკის დროშაზე.



რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

# საბჭოთა საქართველო — ოთხგზის ორდენოსანი

5 ოქტომბერს თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

ამხანაგმა ა. პ. კირილენკომ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ და საქართველოს სს რესპუბლიკის დროშას მიაბნია ხალხთა მეგობრობის ორდენი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის, საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნათელ, მკაფიო დემონსტრაციად.

# ნომერში:

## ხუთწლედის ადამიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 2 კარლო [illegible]ობერიძის ნარკვევი „[illegible]ნი მოდიდებულა“, რომელშიც მოთხრობილია ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მოწინავეებზე
გვ. 6. მაყვალა ინასარიძე თავის ნარკვევში „გაცოცხლებული ლეგენდა“ გვიამბობს აჭარის ერთ ერთ მაღალმთიან სოფლის წარსულზე და აწმყოზე.
გვ. 16. ა ივანიძის ნარკვევი „პირველობას არავის უთმობს“ ეხება თბილისის № 1 სტამბის მუშაობას და მის მოწინავე ადამიანებს

## საოქტომბრო სტრიქონები

გვ. 4. გვესაუბრებიან ძველი ბოლშევიკი დ. ლომაძე, მეცნიერმუშაკი ხ ახვლედიანი, კომპოზიტორი ა მაჭავარიანი და სტუდენტი ც. წაქაძე.

## პოეზია, პროზა

გვ. 1. კარლო კალაძის ლექსი „ჩემი ერთი დღის ქრონიკა“
გვ. 7. ნაზი კილასონიას ლექსი „ჰანგი — ინტერნაციონალი“
გვ. 9. ილია რურუას „ფერეიდნული მოთხრობები“.

გარდა ამისა ჟურნალში ქვეყნდება ი. აბაშიძის წერილი დიდ ქართველ მეცნიერ გ. წერეთელზე; ა. აბულაძის მიმოხილვა ჩილეში მომხდარ ამბებზე; ფოტომოთხრობები — „გამოთვლითი ცენტრი“ და „ტანვარჯიშის ახალი ვარსკვლავები“; იუმორი და სხვა.

გარეკანის პირველ გვერდზე: „საბჭოთა საქართველო — ოთხგზის ორდენოსანი“. პლაკატი თენგიზ სამსონაძისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე: თამბაქოს პლანტაციაში. ფოტო თარხან არჩვაძისა.

ჩანართის ოთხივე გვერდი დათმობილი აქვს გურამ თიკანაძის გამოუქვეყნებელ ფოტოსურათებს.

გარეკანის მესამე გვერდზე მკითხველი გაეცნობა გიგლა ფირცხალავას კარიკატურებს.

„საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (444) ნოემბერი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“, 1973










მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ./მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

# ჩემი ერთი დღის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

**ხუთშაბათი, მარტის 28.**

არათუ გულის ცეცხლი, ხალისიც
ჩემდა მტანჯველად ანთია თითქოს.
ვინც შმაგი ფიქრი რაა არ იცის —
სჯობს მან ეს ლექსიც არ წაიკითხოს!
მე კი ჩემს წუხილს ამითღა ვიქრობ
გულჩათხრობილი და გულფიცხელი...
მე შენზე ვფიქრობ, მე შენზე ვფიქრობ,
თვალდახუჭულიც მე შენ გიცქერი!
ფრთებქვეშ ძლივს მოჩანს დღე დათოვლილი
და სოფლებს თეთრ-თეთრ თავსაფრიანებს —
ძილგამფრთხალ მზერით, როგორც ლტოლვილი,
ჩვენი სიცოცხლე თავს დასტრიალებს.
სვლა გვიმძიმს, ფრენა გზაშეშლილია
ქარ-ნისლით, ნაფლეთ-ნაფლეთ ბინდებით...
და მაინც საფრთხის არ გვეშინია —
გავნაბავთ სულს და, დავაფრინდებით!
იხუმრე, გულო, თუ გეხუმრება
შენი გუმანით, შენი ეჭვებით, —
ცა ვიწროდ გახსნეს სადღაც ღრუბლებმა,
სადღაც მოსკოვის ახლო ვეშვებით...
და აჰა, კალთა დედაქალაქის —
ლარგავლებული ველი, გზა ფართო,
აქ შენი ეჭვიც ეჭვად არა ღირს —
ბრმაა და ყოვლად უმისამართო.
შენ კი უცნაურ უარით გინდა
წაშალო მაინც იმედი ჩვენი,
გიკვირს, რომ სახე მზით გამიბრწყინდა —
უიმედობას იმედით ვშველი.
ხელს იდებ გულზე და გულის ფეთქვა,
ვატყობ, თითებქვეშ ველარ ეტევა...
გადამავიწყდა რაც უნდა მეთქვა,
გადამავიწყდა ჩემი შეტევა.
არა და, ცეცხლი ვით აგაცილო, —
რკინაც რომ იყო — გმართებს გაწრთობა...
არ გაქვს უფლება კვლავაც გაწირო,
ბიჭო, ეგ შენი ახალგაზრდობა!
— ამიტომ გინდა მხრებში შემიდგე
და შეძახილით შესძრა ქვეყანა?!
აჰა, მორჩილად მოგდევს ჩემი დღე,
მოგდევს, ჭირშიაც·არ გაგვეყარა!
— რაკი ცად აგვცდა ელვა და მეხი,
აქაც აგვცდება უეჭველია,
მიწას დავადგით თუ არა ფეხი —
ყველა შარაგზა უკვე ჩვენია!
— რაღაც ზღაპრული სიმართლით ელი
გზამ ჩემი უნდო გული მოიგოს, —
რას იტყვი, უცებ, შარაგზა გრძელი
ტყუილზე უფრო მოკლე რომ იყოს?!

— ნახა რა უცხო კაცივით დგახარ
და გაგიმტყუნა კიდეც ქარაგმა,
გაპენტებული მანქანა, აჰა —
ურა-ცხენივით შენს წინ ალაგმა!
— მაშ, მწვანე შუქმა გზა მოგვცეს მარცხნივ,
გავუყვეთ ამ ნაძვნარს, სამაგალითოს,
და თვალის ჩაკვრით წითელმაც მარცხი
დროზე გვანიშნოს და აგვარიდოს!
— უყურე: არყის ხეებს და ნაძვებს
გზავნიან ჩვენკენ გარეუბნები!
არ გვანან? გზებზე გამოსულ და-ძმებს,
სალამს რატომღა არ ეუბნები!..
— გაგვიღო მართლაც მოსკოვმა კარი
ქვაფენილს თვლებქვეშ გვიფენს ქუჩებად.
ხანდახან თმას რომ მისწორებს ქარი —
მყოფნის ტკივილის დასაყუჩებლად...
— რაგინდ უმწეო ცდად არ გეჩვენოს
ან ჩემი სწრაფვა და ლაპარაკი —
არ შეიძლება, არ მოგვეშველოს
ძოსკოვი, ჩვენი დედაქალაქი!
— უთუოდ, მისი თვალი რომ არა —
სხვა განმკითხველი ქვეყნად ვინ არი —
ათასი მზერა მიმალ-მომალა
და ჩვენ კი დაგვხვდა თვალმომცინარი!...
— ქუჩას ყოველდღე, ქუჩას ყოველღამ
ჭრელ-ჭრელ ამბების უყვარს გაგება.
და ზიზილებით მორთულმა ვოლგამ
ქორწილიც განგებ შემოგვაგება.
იქ, სადაც გულის მგზნებარე ძგერით
უვლის მოედანს ავტომარულა —
თავშალმოხვეულ მოხუცის ხელით
იებს გვთავაზობს ქუჩა მალულად.
ერთი შენობა. ორი. მესამე!
ზარი. სართულის კარი. დარბაზი.
მოყვარული და მონათესავე
მოხედვა ვილაც შავთვალწარბასი.
და ექთანების ფრთათეთრი გუნდი
ახლად დათოვლილ კიბეთა ზემოდ.
თითქოს გიცნობდენ და დაუბრუნდი
ისე გიცდიან, სიცოცხლევ ჩემო!
ახვალ და სანამ დაგინახავდე,
გზას ვერ გავიგნებ, ველარსად ვიარ.
ამ ლექსს, რომელსაც მოვდევ აქამდე —
ჩემი ერთი დღის ქრონიკა ჰქვიან.
შენ კი... შენ თვითონ გრძნობ უშენობას,
და არ შორდები სარკმელს, არ წვები.
შემოხვევიან ირგვლივ შენობას
და თოვლში დგანან მწვანე ნაძვები.

ვდგავართ და გიცდით. თოვლის ფანტელი
ჩუმად ამართულ მხრებზე გვაცვივა.
ცად შერჩენილი სარკმლის ნათელი
მეცა მწამს, მეც ხომ ბერიკაცი ვარ!
ვდგავარ და გიცდი. გვითხარი რამე,
დუმილს დუმილით რატომღა ჩრდილავ?!
„მაშ, ჩემთან ერთად დამშვიდდი, ღამევ,
„მაშ, ჩემთან ერთად გათენდი, დილავ!“ —
მოისმის თოვლით გაბარდნილ ციდან
და იმედს უკვე იმედი უთევს.
ბედი კი ისევ მცდის, როგორც მცდიდა —
თათებქვეშ ჩემი გულ-ღვიძლი უდევს.
„მაშ, ჩემთან ერთად გათენდი, დილავ!“ —
ღამის ვაება რომ გადალახო...
წამწამდათოვლილ სიკეთით ბრწყინავ,
მოსკოვო, ჩემო დედაქალაქო!

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



პირველი ამკრები საამქროს ოსტატი ჯ. კალატოზი (მარცხნივ), საამქროს უფროსი უ. გვენეტაძე და ხარატი გ. კიკვიძე განიხილავენ ახალი აგრეგატის ნახაზებს.



ხარატი გ. კიკვიძე (მარჯვნივ) და მოწაფე ა. რევიშვილი.



ხარატი შ. გოგოლაძე (მარცხნივ) და გამომცდელი ვ. რაზმაძე ამოწმებენ დეტალებს.

# ხუთწლედის ადამიანები

კარლო კობერიძე

ფოტო თარხან არჩვაძისა.

# რიონი მოდიდებულა

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. ამის თაობაზე ხშირად თქმულა და ამიტომ გამეორება ზედმეტად მიგვაჩნია. ერთს კი ვიტყვი: სახნავ-სათესი მიწა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ნაკლები გვაქვს. მიზეზი სწორედ ეს არის, ამდენ მომჭირნეობას რომ ვიჩენთ სავარგულების დაცვისა და შენარჩუნებისათვის. ბრძანებით აკრძალულია იმ მიწაზე დიდი მშენებლობის წამოწყება, რომელიც მოსავლის მადლსა და ბარაქას არასოდეს იშურებს.

ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებში თავისუფლად დაფუტფუტებენ ვეება ტრაქტორები, რაკი მწკრივთა შორის მანძილი ლამის ორ მეტრს უწევს. თუ მომავალს გავითვალისწინებთ, თანაც უახლოეს მომავალს, აუცილებლობა მოიტანს და, ადვილი შესაძლებელია, ეს მანძილი შუაზე თუ არ გაიყო, აღარც არაფერი დააკლდეს.

ნაწილობრივ დღევანდელობას, უმთავრესად მომავლის ამ გასათვალისწინებელ საქმეს, ემსახურება ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა.

ქარხანა 1959 წელს დაარსდა, როგორც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფილიალი, ხოლო 1961 წელს ცალკე გამოეყო. წელიწადში სამმილიონნახევარი მანეთის პროდუქციას უშვებს. სხვათა შორის ეს თანხა 1975 წლისათვის იყო გათვალისწინებული! გაისად ორმაგ ციფრს მოელიან. აქ კეთდება თვითმავალი შასის ჩაის მოდიფიკაცია, რომელზედაც ჩაის საკრეფი უნივერსალური მანქანა „საქართველო" მონტაჟდება. საავტომობილო ქარხნისათვის უშვებს მისაბმელებსა და საყრდენ მოწყობილობას. მაგრამ მთავარი მაინც მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონ-2"-ია: ხნავს, კულტივაციას ატარებს, გაზონებისა და სტადიონების დეკორატიულ თიბვასაც ახერხებს, წამლავს და ორმოებსაც იღებს — შვიდიოდე ცხენის ძალა კი აქვს, და, რაც ყურადსაღებია, მასზე უკვე დიდი მოთხოვნილებაა.

ყოველდღიური ცხოვრება წვრილმანებისაგან შედგება. მერე ეს წვრილმანები ერთ წერტილში იყრის თავს და ერთადერთ, ყოვლისმომცველ მცნებას ვღებულობთ. ეს მცნება შეიძლება იყოს „გარჯა", „შემოქმედება" ან „სიზარმაცე", „თაღლითობა" და სხვ. ჩვენ პირველ ორ მცნებას ვეხებით.

ერთი შეხედვით სწორედ ასეთ წვრილმანად უნდა მოგვეჩვენოს ყურძნის საკრეფი მაკრატლის ამბავიც.

ნაღდი რაჭველი კაცია ანგია ტყეშელაშვილი: დინჯი, სიტყვაძვირი, დაფიქრებული. ჰკითხავ, რას აკეთებ ქარხანაში, და გიპასუხებთ: ვმუშაობ — ეს არის და ეს! ისე კაცმა რომ თქვას, აღარაფრის დამატება სჭირდება ამ სიტყვას — ყველაფრის მომცველია: საქმის ერთგულების, საქმის სიყვარულისა და მათი პატივისცემისაც, ვინც ამ ქარხანაში ირჯება. როცა ანგია ტყეშელაშვილმა ყურძნის საკრეფი მაკრატლი ახსნა, ვიღაც-ვიღაცეებს ნამდვილად გაუკვირდათ, ასჯერ გამოგონებულს რაღა გამოგონება უნდაო. საამისოდ მართლაც არსებობს ჩვეულებრივი სასხლავი მაკრატელი. მაგრამ ანგია ტყეშელაშვილი სოფელ ხვანჭკარიდან გახლავთ და ამიტომ მისი ჩანაფიქრიც სწორი უნდა ყოფილიყო. ანგიამ კარგად იცის, რას ნიშნავს რთველი — ყურძნის კრეფა. მთელი დღე წახრილი მუშაობ, ორივე ხელით აკეთებ საქმეს: ერთი მტევანს უნდა წაავლო, მეორეთი — შეაჭრა. ერთი და ორი დღე არაფერია, ასე მოხრილი, დაძაბული გასძლებ, მთელი კვირეები კი ძნელი ასატანია. ეს აფიქრებდა ანგია ტყეშელაშვილს და მიზანსაც მიაღწია: ერთ მშვენიერ დღესაც უკვე დამზადებული მაკრატელი წარუდგინა ქარხნის ხელმძღვანელობას და დიდად გაიხარა, უმაღლესი შეფასება რომ მიიღო მისმა გამოგონებამ. ეს მაკრატელი მართლაც საინტერესოა: მტევანს სწყვეტს და თვითონვე იჭერს. ასეთი მაკრატელი მისწრებაა თალარის დასაკრეფადაც, კენწეროზე გარჩენილ მსხალსაც დაუზიანებლად მოაქცევს კალათში. თანაც ისიც აღსანიშნავია, რომ მისი დაგრძელება და დამოკლება საჭიროების მიხედვით ყოველთვის შეიძლება. მალე ამგვარი მაკრატლების სერიულ წარმოებას დაიწყებს ქარხანა და დანარჩენს ჩვენი გლეხობა იტყვის — ეს უფრო უკეთესი ჯილდო იქნება, ვიდრე ამ ორიოდე სტრიქონში მოქცეული სამადლობელი.

ახლა რომელ სახელმწიფოში არ მუშაობენ, რაიმე რომ მოუხერხონ ვენახის ძირების თოხნას. საერთოდ, თოხნის პრობლემა ყველგან ერთნაირად აწუხებს კაცს, ვინაიდან ძალიან შრომატევადია და, ასე ვთქვათ, საფრთხილო. ბევრგან გამოიგონეს უკვე ასეთი ტრაქტორი თუ მისაბმელი, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ მიაღწიეს ისეთ სრულყოფას, გული რომ დაიმშვიდონ და თამამად გაუშვან მინდვრებსა და ზვრებში. მე თვითონ ვნახე ასეთი აგრეგატის გამოცდა კახეთში. თუ არ ვცდები, ფრანგული იყო. ქვეყანა დაედო მის სანახავად, იმედის თვალით უყურებდა ყველა, მაგრამ რა გამოვიდა: მსხვილ, ღონიერ ვაზს ერიდება ფრთა, წვრილს კი ისე ჭრის, ცოდვისა და სინანულის ოფლი დაგასხამს. ისეთ ზვარს სად ნახავ, სიმეჩხერე რომ არ ჰქონდეს შეპარული. გამეჩხერებული ვენახი უნდა ჩაიმუხლოს, გადაწვას და ასე შეივსოს. ამ შემთხვევაში დიდ-პატარა ვაზიც არ გამოილევა. ასე რომ, ჯერჯერობით თოხნის პრობლემა ისევ პრობლემად რჩება.

— რად გვინდა ეს უცხოური, — ამბობს ანგია, — ცოტა თავი გავანძრიოთ და აქეთ გამოგვიწვდიან ხელს. სხვანაირად არ გამიგოთ და მეც დამაფიქრა თოხნის ამბავმა. ჩავფიქრდი, ჩავუკვირდი და გავაკეთე. ზოგი ნაწილი ვიშოვე, ზოგიც მე გამოვკვეთე, ცოტა ვიჯახირე და გამოვიდა რაღაც. სოფელში მაქვს ახლა, მშვენივრად ვთოხნი იმით. მალე ჩამოვიტან აქ, ქარხანაში, და ვნახოთ, რას იტყვიან.

— არიქა, გვიშველე!

ანგიას ეღიმება.

— მე მგონი, ნაშველი გვაქვს და ეგ არის!

— დაუჯერეთ, — ღიმილით გვეუბნება ქარხნის დირექტორი რევაზ ქარცივაძე, — ჩვენი ანგია დაუფიქრებლად არაფერს იტყვის.

ქარხნის დირექტორი ცოცხალი, მოძრავი კაცია. მართალი გითხრათ, ასეთი გულახდილი კაცი იშვიათად შემხვედრია. მუშებში გაერევა და ძნელი წარმოსადგენია, გამოარჩიო. როცა „რიონ-2" მარკის ტრაქტორის ხვნის პროცესით დავინტერესდით, თვითონ მიუბა გუთანი და ზეთით მოთხვრილი ხელები რომ დაუშვა, შარვალზე შავად დააჩნდა ნათითურები.

— ეს არაფერი, ქარხანაა, და ზოგჯერ გაუპარსავი წვერიც გვეპატიება.

მერე მისი ცხოვრების განვლილ გზაზეც მიდგა საქმე და ცივი წყალი გადაგვასხა:

— მე არა, მუშებია მთავარი.

— მაგრამ დირექტორიც ხომ მუშაობს?

— უმაგათოდ ფასი არა აქვს დირექტორს.

— მაშ რა ვქნათ, დავწეროთ უდირექტორო ქარხანაო?

— სხვათა შორის მომიხსენიე.

— არა ხარ მართალი, — ეუბნება პარტბიუროს მდივანი შალვა გურესაშვილი და მერე ჩემკენ ბრუნდება, — არ მოუშვები და გეტყვის, ძველს ვინღა ჩივის, გუშინდელიც დამავიწყდაო, — ხელკავი გამომდო და გვერდზე გამიყვანა.

— მეტი არ მოგივიდეს, შალვა! — ეღიმება დირექტორს. — ზოგიც ჩვენში დარჩეს.

— მე რომ მაგას ვუყურო!.. — ეღიმება შალვასაც და საქმიანად იწყებს: — ინიციატივიანი, საქმის მცოდნე კაცია ჩვენი დირექტორი...

რევაზ ქარცივაძემ 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. დაამთავრა და მაშინვე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო მუშაობა ინჟინერ-ტექნოლოგად. მერე ამავე ქარხნის საამქროს ტექნიკური ნაწილის უფროსი იყო, მერე მთავარი ტექნოლოგი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, ხოლო 1972 წლის ნოემბერში მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დირექტორად დაინიშნეს. მის პატიოსან შრომასა და ცოდნაზე მეტყველებს ის, რომ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება აქვს მინიჭებული...

— მოწინავე ხარატი გვინდა.

უშანგი ჩაფიქრდა.

— ბევრს კი არა, ერთს ვეძებთ.

— ბევრი იყოს, ადვილია, ერთის გამორჩევაა ძნელი ამბავი. რა ვქნა, ძმაო, ძალიან გამიჭირდება! ჩემს საამქროში ყველა მოწინავეა. რას ვაკეთებთ და... ტრაქტორების ნაწილებს. როგორ გითხრა, ყველა ბეჯითად მუშაობს. რა მოხდა, ზოგი ორი პროცენტით იქნება წინ, ზოგიც ორით უკან. სამაგიეროდ მომავალ თვეს შეიძლება ადგილები შეიცვალონ. ახლა, თუ ას პროცენტს გადააჭარბებს, მოწინავეა. რა ვქნა, ვერავის გამოვარჩევ და ნუ დამემდურები.

— მაშინ, როგორ მოვიქცე, ქარხნის ისტორია დავწერო?

— ჩვენი ქარხნის ისტორიას შალვა გურესაშვილი წერს.

საამქროში ჩარხების მონოტონური ხმაურია. სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ისე საქმიანობენ, თითქოს მარტონი იყვნენ — თითქოს მათ გვერდით სხვა არ იდგეს, სხვა სახარატო ჩარხთანაც გვერდზე არ იხედებიან. ტემპის დაგდება არ შეიძლება, შესვენებამდეც ბევრი არაფერი აკლია.

საამქროში სახარატო ჩარხებისა და დანადგარების სიმჭიდროვეა. რას იზამ, დრო გადის, მოთხოვნილება იზრდება და ქარხნებიც იზრდებიან თანდათანობით და ერთბაშად.

ძნელია გამოყო რომელიმე მუშა, აშკარად რომ გამოირჩეოდეს სხვებისაგან, რა თქმა უნდა, შრომითა და სიბეჯითით. ეს ქარხანა ერთი, მთლიანი შემოქმედებითი კოლექტივია, სხვაგანაც არსებობს თუ არა ასეთი პრაქტიკა? — საკმარისია ვინმე ვინმესთან წალაპარაკდეს და მთელი ქარხანა ფეხზე დგება. სასწრაფოდ გაარკვევენ, რა მოხდა, როგორ მოხდა; პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევა, თავდებად დადგომა, და ისევ კეთილი ღიმილი.

ერთმანეთის მარჯვენას, ოჯახის ღირსებას პატივსა სცემენ და საზოგადო საქმეს წინ მიიწევს...

იქმნება ახალი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები „რიონი-5" და „ფაზისი-1". ეს ორივე გამარტივებული, გაუმჯობესებული „რიონი-2"-ია. კონსტრუქტორები დიდ იმედს გამოთქვამენ მათი უკეთესობის თაობაზე.

ქარხანამ იაპონური, გერმანული, ჩეხური, კანადური მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები შეიძინა. ჩამოიტანეს, ახედ-დახედეს, ყოველმხრივ გასინჯეს და შეამოწმეს, ჩაუკვირდნენ საკუთარ ნახელავსაც და გაეღიმათ.

გამომცდელმა ვასო ხაზარაძემ ხელი ჩაიქნია:

— ჩვენი ერთი ცალი „რიონი-2" ამათ სუყველას ერთად სჯობია. მაგრამ ეს არც დამშვიდების უფლებას გვაძლევს და არც ტაშის დაკვრისას. როდისა ყოფილა, ერთი მწვერვალის იქით არ გამოჩენილა სხვა უფრო მაღალი მწვერვალი...

მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა ძირითადად დაკომპლექტებულია ამ ქარხანაშივე აღზრდილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით: ამთავრებენ საშუალო სკოლას, სამუშაოდ მოდიან, მერე ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს, დაამთავრებენ ინსტიტუტს და ისევ აქ არიან, ოღონდ ახლა უფრო რთულ საქმეს განაგებენ.

უშანგი გვენეტაძე ჯერ ოსტატად მუშაობდა, მერე უფროს ოსტატად, უმაღლესი დაამთავრა და ამჟამად საამქროს უფროსია.

მინდოდა დირექტორისათვის მეკითხა, მაგრამ უბნის ოსტატი ჯუმბერ კალატოზი სათქმელს მიმიხვდა და მითხრა:

— მომავალი წლიდან შევუდგებით ტრაქტორის უნიფიცირებული წინა ხიდების დამზადებას ლიპეცკის, ხარკოვისა და ტაშკენტის სატრაქტორო ქარხნებისათვის. გაისად ათიათასი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი უნდა გამოვუშვათ, 1975 წელს — ორმოცდაათი ათასი, ხოლო შემდეგ — სამოცდაათი ათასი. როგორც ხედავთ, პერსპექტივა დიდი გვაქვს, ქარხანა კი პატარაა, მშენებლობასაც ამიტომ შევუდექით.

— ვნახეთ, სიდიდე ახლავე ეტყობა, რკინად ავარდნილა ცაში!

— ორი კვარტალიც და დავამთავრებთ. ორნახევარჯერ გაიზრდება ჩვენი ქარხნის საამქროების საწარმოო ფართობი, უკვე შვიდიათასი კვადრატული მეტრი იქნება. სამამულო წარმოების სპეციალურ ჩარხებს მოველით. მაშინ აღარც გეგმის სიდიდისა შეგვეშინდება...

ქარხანაში ორ ცვლად მიმდინარეობს მუშაობა. ამ მეორე ცვლაში მომუშავენი სადილს უფასოდ იღებენ. კარგია, როცა შენი ინიციატივა სხვასაც მაგალითად გამოადგება ხოლმე.

შესვენება დაიწყო, ჩარხებისა და მანქანა-დანადგარების ხმაური შეწყდა.

ქარხნის დირექტორმა ჩასკვნილ, ქუდიან კაცს უხმო.

მოვიდა ის კაცი, მოგვესალმა.

— გურამ კიკვიძეა, უმაღლესი თანრიგის ხარატი, — გაგვაცნო დირექტორმა, მერე ჰკითხა: — როგორ მიდის შენი შეგირდის საქმე?

— გავა სამი თვე და ხარატად ჩაგაბარებთ.

— ეს ხომ ასე იქნება!

— სიტყვა სიტყვაა! ზოგჯერ ძველი გზით სიარულს ვამჯობინებ.

„რიონ-2"-ის გამოცდა. მარცხნიდან: გამომცდელი ვ. რაზმაძე, ქარხნის დირექტორი რ. ქარცივაძე, გამომცდელი ა. ტყეშელაშვილი და ტექნიკური [illegible] უფროსი შ. გურესაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობა.

— ჩვენთან, — მეუბნება დირექტორი, — შეგირდები ოსტატებს მამობილებს ეძახიან. ხელი წაგვიცდება ხოლმე და ხშირად დოკუმენტებშიც ასე ვწერთ.

— დიდი ხნის ამბავია?

— შეგირდებმა დააკანონეს ახლახან.

როგორც წესი, მამობილთან შეგირდის მუშაობისათვის აუცილებელია ექვსი თვე. მაგრამ გამოცდილი ოსტატი გურამ კიკვიძე მხოლოდ სამ თვეს ხარჯავს. სიჩქარე რა შუაშია, მამობილი ატყობს, შეგირდი საკმაოდ რომ დაეუფლა პროფესიას, და მხარზე ხელს ურტყამს — წადი და სიკეთით გევლოსო. მისი შეგირდები გამოცდას ხუთზე აბარებენ ყოველთვის.

— ცამეტი თარსი რიცხვია, — ეღიმება გურამს, — ასე ამბობენ, თორემ ჩემთვის არაფერი დაუშავებია, არც ამ ცამეტ რიცხვსა და არც ამ უთვალავ ორშაბათს. მაგრამ სიმართლეა და ცამეტსაც იმიტომ ვერ გავექეცი — მთელი ცამეტი წელია სულ ამ ქარხანაში ვმუშაობ. ერთ ადგილზე რომ ვიტკეპნებოდეთ, მომწყინდებოდა. მოწყენილობის ჩრდილი ჯერ არ მომდგომია გულზე, სულ ახალ-ახალ რამეებს ვაკეთებთ. გამოიგონებენ, მოგვიტანენ ნახაზებს, ეს ასე გავაკეთოთ, ეს ისეო, და ჩვენც ერთი სული გვაქვს, მალე დავამთავროთ დასამთავრებელი და ვნახოთ, რა გამოვა. საინტერესო სამუშაო გვაქვს. როცა გვაინტერესებს, გვეხალისება კიდეც!

ქარხანაში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ: გურამ კიკვიძე პატიოსანი, სამაგალითო მუშააო. თუმცა დირექტორის რეკომენდაცია ყველაფრის მომცველია.

გურამმა შარშან შვილთან ერთად დაამთავრა საშუალო სკოლა.

— ჩამაცივდა შალვა გურესაშვილი, ნიჭი არ გაკლია, ალღო და წინდახედულება, რა ღმერთი გიწყრება, რატომ არ დაამთავრებ საშუალო სკოლასაო. რაღა დროს ჩემი სწავლაა, შე კაცო, დავბერდი-მეთქი. არ მომეშვა და მივუჯექი მერხს. თან ვმუშაობ, თან ვსწავლობ. სამუშაოდან რომ ვბრუნდები, მე და ჩემი გოგო ერთად ვმეცადინეობთ. ოღონდ ის დღის სკოლაში დადის, მე საღამოს სკოლაში. ერთხელ ქიმიაში ისეთი უბედური გაკვეთილი მქონდა, თავი და ბოლო ვერ გავუგე, ვკითხულობ, მაგრამ არაფერი გამოდის. მეჩიჩინება შვილი, წყლის ნაყვაა მაინც. ბოლოს გამიწყრა, მამ გოგირდმჟავას მიღების წესი ვერ უნდა ისწავლოო, კინაღამ გარეთ გამაგდო...

არც ხუმრობა ეშლება გურამ კიკვიძეს.

ვფიქრობ, ვინც პირველი მომხვდება თვალში, იმას უნდა გავესაუბრო. ასე აჯობებს, თორემ როდის იყო, ჩამორჩენილი და უქნარა საუკეთესო მაგალითად წარუდგინეს უცხოსა თუ შინაურს.

ბიჭმა გამოიარა. ხელი დავუქნიე. პირველი საამქროს მეორე უბნის ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ლევან შეყილაძე აღმოჩნდა. ჩარხს გაუწყობს მუშებსა და იწყება სამუშაო დღე. თურმე ცეცხლივით ბიჭია!..

— ასე თუ დაჰკითხე ყველა, — ეღიმება რევაზ ქარცივაძეს, — გაიგებ, რომ ერთმანეთზე უკეთესი მუშები არიან. მაშინ აუშენდება ოჯახი შალვა გურესაშვილს — შენ დაგიწერია ქარხნის ისტორია და ეგ არის!

— ასეთი ქარხნის ისტორიის დაწერა სასიხარულოც იქნება და სასიამოვნოც...

ვისაც ორიოდე წიგნი მაინც წაუკითხავს, არა მგონია, ოტია იოსელიანი ეუცხოოს. აკი არც გამკვირვებია, მისი სახელის გაგონება. კარგი მწერალიაო, კარგი კაციაო, გაიბადრენ მუშები. მაგრამ რომ მითხრეს, ჩვენი ცნობილი მწერალი ამ ქარხნის ზეინკალ-გამომცდელიაო, გამიკვირდა. მერე გაოცება თანდათან გამინელდა. ოტია იოსელიანი სოფლის მოსიყვარულე, მამულის მოსიყვარულეა და იცის, ამგვარი სასიკეთო წარმოება მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკების ინტერესს არ ეხება, იგი მწერალის უპირველესი საზრუნველიც არის. გამუდმებით ერთ ქუჩაზე ტრიალი, ერთმანეთის ყურება, სხვაც არა იყოს რა, მოსაწყენია და ერთფეროვნებას ბადებს: მითხრეს: „რიონ-2"-ის გაუმჯობესებაში ოტია იოსელიანის ხელიც საგრძნობად ურევიაო. მითხრეს და დავუჯერე, ვინაიდან უპირველესად მისმა მართალმა, ცხოვრებისეულმა შემოქმედებამ დამიდასტურა — იმ საყრდენის გამოცლა არ შეიძლება, სოფელი რომ ჰქვია. ბევრი მარტო ზაფხულის თაკარებაში ჩრდილის საძებნელად ეტანება, ანდა ბარაქიან შემოდგომაზე გაიხსენებს ხოლმე და სხვათა შორის იტყვის — კარგია სოფელიო!..

ასეა, როცა მოწინავე ქარხანაში შეხვალ, ძნელია მკვეთრად გამოარჩიო ვინმე. ვერ გამოარჩევ და იტყვიან — ძალიან ზოგადი ნარკვევი გამოვიდაო, საყვედურით აგავსებენ. მე კი ვინატრებდი, სულ ასეთი მივლინება დამბედებოდეს.









# კაშკაშა შუქურა

გუშინდელი დღესავით მახსოვს 1917 წელი. დიადი წელი იყო. მე მაშინ ჭიათურის მაღაროებში ვმუშაობდი. ოცი წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ რევოლუციური მუშაობის უკვე ოთხი წლის სტაჟი მქონდა — 1913 წელს არალეგალური სტამბის ასოთამწყობი გახლდით. ოქტომბრის რევოლუციის ქუხილმა შეაზანზარა ჩვენი პროლეტარული ჭიათურა. დავტოვეთ მაღაროები და აღფრთოვანებულნი გამოვედით ქუჩებში. ჩვენმა ამხანაგმა სავლე მეტრეველმა წითელი დროშა აღმართა. პოლიციამ იარაღი დაყარა. იმ წელს პარტიაში შევედი.

საჩხერის 1918 წლის უშედეგო აჯანყების შემდეგ პარტიამ ბაქოში გამგზავნა, სადაც შაუმიანისა და ჯაფარიძის ინიციატივით შექმნილი სპეციალური ცხენოსანი რაზმის პარტჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1922 წელს ჭიათურის პირველი პარტრაიკომის მდივანი გავხდი. იმავე წელს პარტიამ სწავლის გასაგრძელებლად ვენის უნივერსიტეტში მიმავლინა. სულ მალე კი ბერლინში ტელმანის მხარდამხარ მომიხდა ბარიკადებზე ბრძოლა ვილჰელმ გროსშმიდტის გვარით. ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუდგენია გროსშმიდტის ნამდვილი ვინაობა და დამაჯილდოვა ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის". დაჯილდოებული ვარ აგრეთვე ორდენით, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვმუშაობდი საქართველოს სსრ ვაჭრობის სახკომის მოადგილედ, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ და ბოლოს უძველესი კულტურული ძეგლების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, ვმუშაობდი პროპაგანდისტად, ვკითხულობდი ლექციებს.

ახლა მე 76 წლის კაცი ვარ. ჩემს თვალწინ გაიარა დიდი სოციალისტური რევოლუციის, ჩვენი დიადი სახელმწიფოს შენების და განმტკიცების, ჩვენს ისტორიაში პირველი სოციალისტური საზოგადოების დაბადებისა და განვითარების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესმა და ბედნიერი ვარ, რომ მე ამ პროცესის ერთ-ერთი გულშემატკივარი, მოწმე და რიგითი მებრძოლი ვარ.

**დავით ლომაძე,**
სკკპ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

# მრავალჟამიერ, მეგობრებო!

მე ისტორიკოსი ვარ და ნუ დამძრახავთ, თუ ამ პატარა, მისასალმებელ წერილს ისტორიული ექსკურსით დავიწყებ.

1914 წლის 19 ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ამ ომში მალე ოსმალეთიც ჩაება. ასკერები შემოიჭრნენ ართვინში, ართანუჯში, ბორჩხაში და აჭარისწყალამდე ჩამოაღწიეს.

თავდამსხმელები მალე იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. გაბოროტებულმა მტერმა უმოწყალოდ დაარბია სოფლები, გადაწვა სახლები, გაირეკა საქონელი და მოსახლეობის ნაწილი ძალისძალად გაასახლა შორეულ ვილაიეთებში.

აი სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად მეფის რუსეთის ცნობილ პროვოკაციულ გამოხდომას.

ცარიზმის მოხელეებმა აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადეს. სახელდახელოდ შეითითხნა ბრალდება, თითქოს აჭარლები მეფეს განუდგნენ, ოსმალებთან საერთო ენა გამონახეს და რუსეთის წინააღმდეგ იბრძვიანო.

მტრის მიერ აწიოკებული აჭარა ახლა კაზაკებმა გადათელეს. დაიწყო მოსახლეობის დარბევა. აჭარის საუკეთესო შვილები დააპატიმრეს. ბევრი მათგანი სასტიკად დასაჯეს, ბევრი გააციმბირეს.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ლიახოვმა კატეგორიულად მოითხოვა აჭარის გადაბუგვა და რუსეთის შორეულ გუბერნიებში მოსახლეობის გასახლება.

ეს ერთი ფაქტიც სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გმინავდა აჭარა, როგორ მძიმე და აუტანელ ხვედრს იზიარებდა მთელი საქართველო.

აღთქმული თავისუფლება ვერც მენშევიკების ბატონობამ მოიტანა. საუკუნეთა მანძილზე მრავალტანჯული საქართველო ისევ ისე გმინავდა, ისევ ისე იწრიტებოდა სისხლისაგან.

და აი, 1921 წლის თებერვალში, სერგო ორჯონიკიძემ ბაქოს საბჭოს სხდომაზე საზეიმოდ განაცხადა: „ახლოა ის დღე, როცა ბათუმში წითელი დროშა აფრიალდება, როცა შავი ზღვა მიიღებს გაქცეულ მენშევიკებს".

გაქცეული მენშევიკები მართლაც მიიღო შავმა ზღვამ. ბათუმის თავზე კი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც სამარადისოდ ფრიალებს ბედნიერებისა და თავისუფლების წითელი დროშა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, აყვავებული აჭარიდან, დიდი ოქტომბრის სახალხო დღესასწაული მივულოცო ჩემს თანამემამულეებს.

დაე იმრავლოს ჩვენმა წარმატებებმა! დაე კვლავაც ახალ-ახალი მიღწევებით შევეგებებოდეთ დიად დღესასწაულს!

**ხარიტონ ახვლედიანი,**
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

# ოცნებამ ხორცი შეისხა

ორმოცდათექვსმეტი წელი, რომელიც ჩვენმა ხალხმა განვლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, მატიანეში შევა როგორც გრანდიოზული გარდაქმნებისა და არნახული მიღწევების ეპოქა.

საბჭოთა ხალხის ნათელი ხვალინდელი დღე — კომუნიზმი, თავისთავად ცხადია, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად, თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებასაც საჭიროებს.

აი სწორედ ამ კეთილშობილურ საქმეს — მშრომელი ადამიანების ესთეტიკურ აღზრდას, მათი სულიერი სამყაროს ფორმირებას ემსახურება ხელოვნების მუშაკთა არმია, რომლის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი ქართველი კომპოზიტორები არიან.

ქართველმა კომპოზიტორებმა ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შესძლეს. დამეთანხმებით, რომ ისინი მთელ თავიანთ ნიჭს, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ჩვენი ეპოქის შესაფერისი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად.

მე ყოველთვის ვცდილობდი შემექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც დარაზმავდა ადამიანებს, დახვეწავდა, აამაღლებდა მათ სულიერ კულტურას, გაალვიძებდა ყოველივე საუკეთესოსადმი მისწრაფებას, ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებდა მშრომელებს.

ამას წინათ დავამთავრე ოპერა „ჰამლეტი", ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით შევქმენი ხუთი მონოლოგი, რომელიც რუსთაველის პრემიით აღინიშნა. გარდა ამისა, დავწერე სიმფონია № 2, პოლიფონიური საფორტეპიანო პიესები, სიმფონიურ-ვოკალური ციკლი და, რაც მთავარია, ხორცი შევასხი ჩემი დიდი ხნის ჩანაფიქრს — დავამთავრე ბალეტი „ვეფხისტყაოსანი".

ამ ნაწარმოებზე მუშაობა მეტად ძნელი იყო. რუსთაველის პოემა, როგორც ცნობილია, კომპოზიციურად რთული და მრავალპლანიანია. ბალეტს საფუძვლად დავუდე მხოლოდ ერთი სიუჟეტური ხაზი — მეგობრობისა და სიყვარულის თემა. ლიბრეტო ბალეტისათვის დაწერა მოსკოვის დიდი თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა ი. გრიგაროვიჩმა, რომელიც ამ ბალეტს პირველად თვითონვე დადგამს დიდ თეატრში.

თუ იმედმა გამიმართლა, მაშინ შეიძლება ვთქვა, რომ მეც ეს ჩემი ხუთწლედი წარმატებით შევასრულე.

**ალექსი მაჭავარიანი,**
კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.

# მამების გზაზე

ვსწავლობ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ზესტაფონის რაიონიდან ვარ, სოფელ სვირიდან. ინსტიტუტში 1970 წელს შევედი, აქვე ამირჩიეს ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნად. წელს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიმიღეს. ჩემი მშობლები პედაგოგები არიან. მამა დიდი სამამულო ომის პირველ თვეებიდანვე წავიდა ფრონტზე, სხვა მეომრებთან ერთად ებრძოდა ჰიტლერელთა ურდოებს, რომლებსაც სურდათ ჩვენი სამშობლოს დაპყრობა და ხალხის დამონება. საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ მამა იბრძოდა ბულგარეთში, იუგოსლავიაში. ბელგრადთან დაიჭრა. დაჭრილი შეიფარა და განკურნა ადგილობრივი მცხოვრებლების სიმაჩების ოჯახმა. მამაჩემს ომის შემდეგაც არ გაუწყვეტია სიმაჩებთან კავშირი. ახლაც მიწერ-მოწერა გვაქვს მათ ქალიშვილ ვერა ნემკოვიჩთან. მე და მამას გადაწყვეტილი გვაქვს ვეწვიოთ იუგოსლავიას.

სწავლით კარგად ვსწავლობ, რადგან ვიცი, რომ მიღებული ცოდნით რაღაც კარგი უნდა დავუბრუნო ჩემს ხალხს, ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ორმოცდათექვსმეტი წლის წინათ გზა გაუხსნა უბრალო ადამიანებს, მათ — ვისთვისაც სწავლა-განათლება საუკუნეების მანძილზე მიუღწეველი იყო.

შარშან სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება თემაზე: „შემთხვევითობა და აუცილებლობა ფიზიკის მაგალითებით" და პირველი პრემია დავიმსახურე.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის კოცონი უქრობ ჩირაღდნად გიზგიზებს ჩვენს გულში. საბჭოთა ახალგაზრდები მტკიცედ და ფართოდ მივაბიჯებთ ჩვენი პაპებისა და მამების მიერ გაკვალულ გზაზე.

**ციცინო წაქაძე,**
ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.



# გაცოცხლებული ლეგენდა

— იზეთი! — მცირეოდენი ფიქრის შემდეგ გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — იზეთ ნიჟარაძე! იმაზე უკეთესს სოფელში ვერავის ვნახავთ. არა, ჩვენც კი შეგვიძლია პასუხის გაცემა... სოფელ ვაიოს წარსულზე რასაც გინდათ, იმას მოგიყვებით, მაგრამ ბაბუა იზეთი მაინც სხვაა. საცაა საუკუნეს გადააბიჯებს. ყველაფრის მომსწრეა, ყველაფერი საკუთარ მხრებზე გადაიტანა და აბა იმაზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს სოფლის ისტორია?!

ბაბუა იზეთი შინ დაგვიხვდა. მაგიდასთან ზის, კედელზე განუყრელი ჯოხი აუყუდებია, ყალიონს აბოლებს და რაღაცაზე ედავება შვილიშვილს.

ჩვენი მისვლის მიზანი გავაცანით მოხუცს. ესიამოვნა. ყალიონს თუთუნი წაუმატა, ხამუშ-ხამუშ გააბოლა, ფეხი ფეხზე გადაიდო და, გაგიხარიათ, მოხსნა და მოხსნა პირი გარდასულ დღეთა ამბებს.

დინჯად, ენაწყლიანად საუბრობს ბაბუა იზეთი. სულგანაბულები ვუსმენთ მოხუცს და ჩვენს თვალწინ კინოკადრებივით თითქოს ნათლად ცოცხლდება წარსული სურათები.

* * *

— რას შვრები, იზეთ, შვილები გინდა გააგიაურო? — უთხრა ერთ დღეს ახალგაზრდა იზეთს ხოჯა დაუდ-ეფენდიმ.

იზეთი შეჩერდა.

— ჭკუაზე მოდი, — თავისას არ იშლიდა დაუდ-ეფენდი, — ხომ იცი, ალაჰის ღალატს არავინ გაპატიებს.

იზეთს სისხლი მიაწვა საფეთქლებში. დამუშტული ხელები შემოხვია მის წინ გაჩერებულ შვილებს — ნადიმსა და შუქრის და გაბოროტებით ჩაილაპარაკა:

— ეხლა სხვა დრო მოვიდა... ვერავინ დამიშლის შვილებს მშობლიური ენა რომ ვასწავლო!

— დაფიქრდი, იზეთ!

— სამას წელზე მეტ ხანს იმიტომ კი არ შევინახეთ დედაენა, რომ ახლა შენისთანებმა შემაშინონ! ჩემი შვილები ქართველები არიან და ქართულად ისწავლიან კიდეც.

იზეთის ხმაში მტკიცე გადაწყვეტილება ჟღერდა. თქვა და აასრულა კიდეც: თმააბურძგნული ბიჭები სოფელში ახლადჩამოსულ მასწავლებელს დომენტი გიორხელიძეს მიჰგვარა. იზეთი ერთადერთი როდი იყო. მეორე დღეს შუქრისა და ნადიმს მათსავით თმააბურძგნული ბიჭები ამოუდგნენ მხარში.

ბნელ სარდაფში, სადაც სასწავლებელი იყო მოთავსებული, ტკბილად გაისმა მშობლიური — ია, აი ია...

* * *

— ვაიოში 1923 წელს გაიხსნა სკოლა, — იგონებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი დომენტი გიორხელიძე.

მიწის ყივილმა თავისი გააკეთა. მშობლიურ წერა-კითხვას მოწყურებული ბავშვები ხარბად დაეწაფენ ქართული ენის უშრეტსა და უკვდავ წყაროს. მალე მათი მშობლებიც ჩავითრიეთ სწავლაში. თანდათან ქალებიც მოვიზიდეთ. ისე რომ, ცოტა ხნის შემდეგ ვაიოში ბევრმა უკვე კარგად იცოდა წერა-კითხვა.

საუკეთესო მოსწავლეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნიჭით, ბათუმში და თბილისში გავაგზავნეთ. მათ შორის იყვნენ ბაბუა იზეთის შვილები — შუქრი და ნადიმი. ისინი ახლა სახელოვანი ვაჟკაცები არიან და მეცნიერების სამსახურში დგანან.

* * *

— ჩვენი სოფლის პირველი მასწავლებელი დომენტი გიორხელიძე ამ რამდენიმე წლის წინათ ისევ გვეწვია ვაიოში, — დინჯად გვიყვება ბაბუა იზეთი, — ამოვიდა, ყველაფერი გამოგვკითხა, ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა. გახარებული დარჩა სოფლის მიღწევებით, მაგრამ სკოლის შენობა დაგვიწუნა. ისე გაზრდილხართ, ისე გაფართოებულხართ — უკეთესი გეკუთვნითო.

— მამამ პირობა მისცა, ახალს ავაშენებთო, — სიტყვას ურთავს ბაბუა იზეთის შვილიშვილი ჯუმბერი.

— მაცალე, ბაბუ, — ხელის აწევით აჩერებს ბაბუა იზეთი შვილიშვილს, — ყოფილმა მოსწავლეებმა გიორხელიძეს პირობა მისცეს, მალე სკოლის ახალ შენობას ავაშენებთო. ისე, კაცმა რომ თქვას, მამაშენმა მართლა ბევრი იწვალა, სად არ ირბინა: ქედაში, ბათუმში, თბილისში... მასალის შოვნა ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ თავკაცები დაეხმარნენ და აბა ახლა ნახეთ, როგორი სკოლა წამოვჭიმეთ ვაიოში.

— ახალი კლუბი, ბაბუა?

— კლუბიც.

— ახალი ხიდი?

— ახალი ხიდიც ავაშენეთ. გაიარეთ სოფელში, თქვენი თვალით ნახეთ, რამდენი რამე გაკეთდა. როგორ იცვალა სახე ვაიომ.

მოხუცი წამით ჩაფიქრდა და მაშინვე განაგრძო:

— თურქების მიერ განაწამებ სოფელში ერთი ვიღაც გადამთიელი იანკო ლაზარევი გამოჩნდა. შეძლებული კაცი იყო, კაპიტალისტი. ჩვენი მიწები ნაჭერ-ნაჭერ იყიდა. მალე მიწაც იმისი იყო, მიწისქვეშა სიმდიდრეც და ჩვენი თავიც იმას ეკუთვნოდა. ღმერთმა გადმოგვხედა. ახალი ცხოვრება მოვიდა. ახლა მიწაც ჩვენია, სწავლა-განათლებაც ჩვენია და თავისუფლებაც ჩვენ გვეკუთვნის.

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა მოხუცს, მაგრამ ძახილმა შეაჩერა.

— იზეთი ბაბუა, აუ! — იძახდა ჭიშკართან მომდგარი ქალი.

— ამობრძანდი, — შეეხმიანა აივანზე გადმომდგარი ბაბუა იზეთი სტუმარს.

— სადეთთან მქონდა საქმე... გზის მშენებლობის თაობაზე ერთად უნდა ჩავიდეთ ბათუმში...

— სადეთი სკოლაშია, იქა ნახავ.

ქალი გატრიალდა.

— სადეთი ჩემი ქალიშვილია, სკოლის მასწავლებელია, ეს კი უმიან მახაჭაძეა, — გააყოლა სტუმარს თვალი ბაბუა იზეთმა. — ომის დროს ეგ ცეცხლივით ქალი ედგა სათავეში ჩვენს კოლმეურნეობას.

* * *

ქედის რაიონის სოფელ ვაიოს გლეხები კოლექტიურ მეურნეობაში 1931 წელს გაერთიანდნენ.

ძნელი იყო პირველი ნაბიჯები. ახლადფეხადგმულ კოლმეურნეობას უამრავი მტერი ჰყავდა. უამრავი საფრთხე და დაბრკოლება ელობებოდა წინ. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა.

საერთო ძალით საქმე თანდათან აეწყო. აღორძინებულმა კოლმეურნეობამ ფეხი მოიმაგრა. პირველი ნაყოფით გაახარა მშრომელი კაცის გული. ბარაქა დატრიალდა აჭარელი გლეხკაცის ოჯახში. მივიწყებულ უძველეს ქვევრებში ლალისფერი ღვინო აჩქეფდა, კოპწია ოდა-სახლებით დაიფარა ახლადჩაყრილი პლანტაციებით მოხატული გარემო. მალე მთელს რესპუბლიკაში დაირხა ამბავი: ვაიოელმა მირალი შავიშვილის ოჯახმა 1.000 შრომადღე გამოიმუშავაო. ასეთი ამბავი მაშინ გაუგონარი იყო აჭარისათვის. ახმაურდნენ გაზეთები. ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი — მეხუთეკლასელი ახიე შავიშვილი სწავლასა და შრომაში წარჩინებისათვის მოსკოვში გახსნილ გამოფენაზე მიიწვიეს.

მერე საავდროდ მოიქუფრა ზეცა. პატარა სოფლიდან — ვაიოდან ათეულობით ვაჟკაცი გაეცალეს სამშობლოს დასაცავად. სოფელს მერიმე მახაჭაძის ქალიშვილი უმიანი ჩაუდგა სათავეში. საქმე მოითხოვდა და უვაჟკაცოდ დარჩენილ სოფელში ქალებმა დაიჭირეს მამების, ძმებისა და ქმრების ადგილები. ვაიოში დღესაც ახსოვთ, იმ გაჭირვების ჟამს, მუშახელი რომ აღარ ჰყოფნიდათ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქალს უმიანს საკუთარი მხრით როგორ აჰქონდა ხოლმე გუთანი ახოებში...

დამთავრდა ომი, სოფელმა ჭრილობა მოიშუშა. გულს კი მაინც დააჩნდა ნაწიბური. ვაიოს კლუბში, საპატიო ადგილზე, ხავერდზე მიმაგრებული ვაჟკაცების სურათებია გამოკრული. ეს სურათები შავ ჩარჩოებშია ჩასმული.

* * *

ოთახში ოთხნი ვართ: ბაბუა იზეთი, მისი შვილიშვილი ჯუმბერი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ენვერ ჩიქვაიძე და მე.

ენვერ ჩიქვაიძე ახალგაზრდა კაცია. დიდი ხანი არ არის, რაც სოფლის თავკაცად აირჩიეს, მაგრამ კოლმეურნეობას უკვე დასტყობია მისი მტკიცე და მზრუნველი ხელი.

— ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს, ჩაიც, თამბაქოც, ვენახიც, ხილიც, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — მთის პირობებში, როგორც იტყვიან, ეს საკმაოდ დიდი სიმდიდრეა. თავის ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ თუ ვიტყვით, რომ ხუთწლედის გადამწყვეტ წელს ვაიოელები თავს არ შევირცხვენთ. ციფრების ენა, მართალია, ცოტა მშრალია, მაგრამ, სამაგიეროდ, ზუსტი და უტყუარია. ციფრებში, როგორც სარკეში, ნათლად ჩანს ჩვენი შრომის მთელი სურათი. ჰოდა, მოდით, ციფრებს მივმართოთ.

დინჯად, ჩაფიქრებით ლაპარაკობს თავმჯდომარე, გვიხსნის, გვიმარტავს, მალ-მალე იშველიებს ციფრებს. ამ ციფრებში კი, როგორც თვითონ თქვა, მართლაც სარკესავით მოჩანს მთელი სოფლის თავდადებული შრომის სურათი.

რთველი ახალი დაწყებული იყო, როცა მოწინავე მევენახეებმა სერდალ გოგიტიძემ და ყადირ გორგილაძემ საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფილი ყურძენი სახელმწიფო მარანში მიიტანეს. მევენახეთა პატრიოტულ მოძრაობას არც სხვები ჩამორჩნენ. კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია. ყველა — დიდი თუ პატარა მხოლოდ ერთი სურვილით იყო განმსჭვალული, ყველა ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში.

მევენახეებს არც მეთამბაქოეებმა დაუდეს ტოლი. საოქტომბრო დღესასწაულის წინ სოფელში მთლიანად დამთავრდა თამბაქოს უდანაკარგოდ აღება. ვაიოელმა კოლმეურნეებმა შეტეხეს და აასხმეს ხუთას ცენტნერზე მეტი მაღალხარისხოვანი თამბაქო.

— სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გეგმებიც შევასრულეთ, — აგრძელებს თავმჯდომარე, — არც ჩვენს მეჩაიეებსა და მეცხოველეებს შეურცხვენიათ თავი. მოწინავეები გნებავთ? რამდენსაც გინდათ, იმდენს დაგისახელებთ. აი თუნდაც ლენინის ორდენოსანი კოლმეურნე დარეჯან მახაჭაძე, რუსუდან გორგილაძე, ფადიმე ჩიქვაიძე, თორმეტი შვილის ახალგაზრდა გმირი დედა ზექიე მახაჭაძე და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო... მართლა, კინაღამ დამავიწყდა, პირველ რიგში აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მოწინავე მეჩაიეები შუშანა და ემინე ჩიქვაიძეები.

ხუთწლედის მესამე წელი იწურება. წინ დიდი, ახალი ზღუდეებია დასაძლევი.

მთებში მიყუჟული აჭარის პატარა სოფელი ვაიო დღევანდლობის სისხლსავსე მაჯისცემით ცხოვრობს. შრომობს, ილწვის, თავდადებული ბრძოლით მხარს უბამს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხთა შემოქმედებით შრომას.

უახლოეს წლებში სოფელში ორჯერ გადიდდება ჩაისა და ვენახების ფართობები. აშენდება მეცხოველეობის ახალი მექანიზებული ფერმა. მეტი თამბაქო, ხორცი, ჩაი და ყურძენი უნდა აწარმოონ ვაიოელებმა. და ჩვენ გვჯერა სოფლის თავკაცის ენვერ ჩიქვაიძის სიტყვები, გვჯერა, თავის ქებაში არ ჩამოერთმევათ აქაურ გამრჯე ადამიანებს თუ იტყვიან, რომ ისინი უთუოდ წარმატებით შეასრულებენ ყველაფერს.

* * *

დაბინდდა.

ჩაბნელებული სოფელი ლამპიონებმა გააკაშკაშა.

— ლეგენდები გაცოცხლდა, ბაბუ, ლეგენდები! — იძახის ბაბუა იზეთი და ისევ ყალიონს აწყობს, — ბავშვობაში რომ გამიგონია, ისეთი ლეგენდები.

ჯუმბერი მალე დაამთავრებს სკოლას. ვინ იცის, შეიძლება ოცნება აუხდეს და მართლაც კოსმონავტი გამოვიდეს. ერთი კი ცხადია, ჯუმბერი და მისი ტოლები კიდევ უფრო ააყვავებენ და ბარაქას დასდებენ ვაიოს. მზრუნველი ადამიანები, სხვა სიკეთესთან ერთად, მალე წყალსაქაჩსაც გამართავენ, მდინარიდან წყალს ამოტუმბავენ და ზაფხულის თაკარა დღეებში მორწყავენ ვენახებს, სიმინდის ყანებს, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებს. ეს უბრალო ოცნება როდია, ესაა ხვალინდელი სინამდვილე, ხვალინდელი დღე.

ხვალინდელ დღეზე ამბავს კი ბაბუას შვილიშვილი ჯუმბერი უამბობს, აი ეს ბიჭუნა, მეოცნებე თვალებით მთებზე შეფენილ ვენახებს, თამბაქოსა და ჩაის პლანტაციებს რომ გაჰყურებს, სიმაღლისაკენ რომ გაურბის მზერა.

მაყვალა ინასარიძე



## ჰანგი-ინტერნაციონალი

ნაზი კილასონია

ეს რამდენი დღე არი
ძილი არ მეკარება,
ჩემმა ჩუმმა ბიჭუნამ,
ჩემმა ჭკვიანთვალებამ,
მითხრა [illegible] გვასწავლის
გრძელი სიტყვა რომ არი —
ინტერ-ნაცი-ონალი.
ინტერ-ნაცი-ონალი...

ინტერნაციონალი!
ინტერ-ნაცი-ონალი!
წიგნში რევოლუციის
მოვარვარე ზონარი.
ამხანაგო! წამოდექ!
ქარიშხლების მდომარი,
მოქუხს ცეცხლის წყაროდან
ინტერნაციონალი.
შურისგებით ნალესი,
სიტყვა შიშველ მონების,
აზრი უმაღლესი:
„აღშფოთება გონების"!
ჩატეხილი მკერდებით,
დაჭმუჭნილი ხელებით,
ჩავარდნილი ფერდებით,
სისხლიანი ხველებით.
ბევრ ნათებას გვაღირსებს
ჰანგი ლეგიონების,
აზრი უმაღლესი —
„აღშფოთება გონების".
და ეს ფიქრი ფხიზელი,
ვიცი, არც თქვენ გიქრებათ:
ომი საბედისწერო
ნუთუ კიდევ იქნება?
ვიდრე იარსებებენ
ჩემი ლეგიონები,
დამშეული მონებით,
აღშფოთებულ გონებით,
ულამაზეს თავებით,
უმგზნებარეს თვალებით,
ჩაჩოქილი რაშებით,
დაცხრილული დროშებით:
ასე, კარით-კარებში,
ასე გულის არეში,
ვიქუხებ და ვიმღერებ
ჩემს უმაღლეს სიმღერებს.

. . .

ამხანაგო! წამოდექ!
ქარიშხლების მდომარი
მოქუხს ცეცხლის წყაროდან
ინტერ-ნაცი-ონალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერეიდნული მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

მხატვარი დიმიტრი ერისთავი.



## სადა ხართ აქამდე!

„რაისით არ მოხვალ ჩვენყე,
რამდენი ხანია გელოდებითყე“.
ფერეიდნული თქმა

სამოცდათორმეტი წლის მაისი...

სამსაუკუნენახევრის შემდეგ ტყვეობიდან დაბრუნებულ ფერეიდნელთა ჯგუფი სოფელ ვაზისუბანს უახლოვდება.

მთელი კახეთი გზისპირას გამოფენილა. გურჯაანიდან მოყოლებული ხალხის ცოცხალ ხეივანში მოვდივართ. ფერეიდნელებით სავსე ავტობუსს სიხარულის ყიჟინით ხვდებიან, ყვავილებს ესვრიან.

ჩვენს „ვოლგაში“ ზის ათი-თორმეტი წლის ფერეიდნელი ბიჭი ბახტიარ ბათუაშვილი, რომელსაც უკვე ვახტანგს ვეძახით. ბიჭი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებს გაზაფხულით ფერნაკრავ მიწას, რომელიც ამიერიდან იქნება მისი...

ნეტავი რამდენი ასეთი თვალმერცხალა ბიჭი გარეკეს მაშინ აქედან?!

ადვილი წარმოსადგენია, რა გოდება და ვაიუშველებელი იდგა ამ ცის ქვეშ.

გმირ მეზვრეთა მხარე ისე მაინც არ წახდებოდა, ვინმე შემომძახებელ-გამამხნევებელი არ გამოსჩენოდათ.

მაინც რა შეიძლებოდა ეთქვა მას მშობლიური ბუდიდან აყრილი ვაზისუბნელებისათვის?!

— არ წახდეთ, ხალხნო!.. ადრე თუ გვიან მაინც ჩვენს კერას დავუბრუნდებით!

რაღაც ამის მსგავს იტყოდა უთუოდ..

იმ ვაჟკაცის მერამდენე მოდგმიდანაა ბახტიარ-ვახტანგი?!

მანქანები ნელა მიიწევენ სოფლის სტადიონისაკენ, სადაც საზეიმო შეხვედრაა დანიშნული. ეტყობა, სტადიონი ხალხს ველარ იტევს უკვე. მისასვლელი ჩახერგილია ავტომანქანებით. ადამიანები ძლივძლივობით მიიკვლევენ გზას.

ამ ზღვა ხალხში მაინც შევნიშნეთ ერთი ტანბრგე, შავტუხა კახელი ვაჟკაცი. იგი მოულოდნელად ეზოს სიღრმიდან ამოფრინდა ქვის ყორეზე. ეტყობოდა, ერბინა, განიერი მკერდი ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა. დახარბებული მზერით ჩააცქერდა ავტობუსში მსხდომ ფერეიდნელებს და სახე გაებადრა. იდგა ასე ყორეზე და თვალს არ აშორებდა ავტობუსს. შემდეგ კი ორივე ხელი ზევით შეისროლა, თითქოს კამარა უნდა შეჰკრასო, და ჰაერი შეაზანზარა მისმა ომახიანმა ძახილმა:

— ეჰ-ჰეე! ძმებო, სადა ხართ აქამდე!

რა იყო ეს?!

ალბათ, თავისუფალი სულის ყივილი; შესაძლოა, იმ ვაჟკაცთან გადაძახებაც, რომელიც ოდესღაც ვაზისუბნელებს მშობლიურ კერაზე დაბრუნებას დაჰპირდა.



## ცოტნეს ძმა

მზის მცხუნვარებით ნახევრად დაშლილი და სითეთრემდე გამოხუნებული მიწური ყაზარმის წინ ოცამდე ჯარისკაცი ჩამწკრივებულა. ისინი თვალს არ აცილებენ მათგან მოშორებით გამდგარ ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც საიდუმლოდ რაღაცას ელაპარაკება ჰარმაგი, ტანდაბალი ხელქვეითი. ეტყობა, ოფიცერი უხალისოდ უსმენს. ბოლოს, თავმობეზრებული, თითქმის ძალით იცილებს თანამოსაუბრეს და ხელის აწევით აცხადებს:

— ზეინალ აბდინ ხან, ორი ნაბიჯით წინ!

მწყობრიდან გამოსულ ჯარისკაცს ტანსაცმელზე ხანობისა არაფერი ცხია, მაგრამ სხვებისაგან ახოვნებითა და თამამი მზერით გამოირჩევა.

— ზეინალ აბდინ ხან, — აგრძელებს ოფიცერი მოთენთილი ხმით, — ეს-ეს არის მომახსენეს, რომ თქვენ ხელი გაგირტყამთ და აუზში გადაგიყირავე-

## დააკვირდი

სხვისი იდეა, სხვისი აზრი არას გვარგებს, თუ არ შევითვისებთ. **ბოშენი.**

თითოეული ადამიანი ქვეყნიერებაა, რომელიც მასთან ერთად იბადება და მასთან ერთად კვდება. თითოეული კაცის საფლავის ქვის ქვეშ დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორია. **ჰაინე.**

კაცს მალე სჯერა იგი, რის სურვილიც აქვს, ან რისაც ეშინია. **ბეკონი.**

რჩევისათვის რამდენიმე თავია საჭირო, მოქმედებისათვის — კი ერთი. **ბუასტი.**

ჰკუამოკლე კაცის თვისება ის არის, რომ განადიდოს, რაც დიდი არ არის და დაამციროს, რაც დიდია. **დუბუა.**

სიღარიბე სიკეთე არ არის, მაგრამ სიღარიბის ატანა კი სიკეთეა. **შარლ ლემელი.**

ბედნიერება კაცს თავის დღეში ისე მაღლა არ აიყვანს, რომ მეგობრის ყოლა მისთვის საჭირო არ იყოს. **სენეკა.**

ყმაწვილის გაწვრთნას საფუძვლად ორი რამ უნდა ჰქონდეს: ერთი კეთილზნეობა და მეორე კეთილგონიერება. პირველი საფუძველია სათნოების და მეორე ფარი — სხვისი ბოროტების მოსაგერიებელი. **მამფორი.**

უნამუსო კაცის სიძულვილი სახელია პატიოსანი კაცისათვის. **ბუასტი.**

არაფერში ვარგა იგი, ვინც მარტო თავის თავისთვის ვარგა. **ვოლტერი.**

ნუ ჩათვლი შენს თავს დიდკაცად იმ ლანდის სიდიადით, რომელსაც შენი ტანი სტოვებს ხოლმე ჩამავალი მზის დროს. **პითაგორა.**

თუ ეგოისტი თავის თავს არასდროს არ ივიწყებს, სამაგიეროდ ადრე თუ გვიან ხალხი მას დაივიწყებს. **ბუასტი.**

დედათა მჭევრმეტყველება ცრემლია. **ბუასტი.**

სხვების სისულელე ჩვენ ვერასოდე‚ დაგვაჭკვიანებს. **ნაპოლეონი.**

რა შესაბრალნი არიან ისინი, რომელთაც მოთმინება არა აქვთ. **შექსპირი.**

რიგიან ხალხთან იარე და შენც მათ შორის ჩაირიცხები. **ჰენრიხ ჯორჯი.**

ვისაც ცოტა არ აკმაყოფილებს, იმას არა დააკმაყოფილებს რა. **ეპიკური.**

ბიათ ირანის უძლეველი არმიის უმცროსი ოფიცერი ალა ალი-მირზა. მართალია ეს?

— მართალი გახლავთ, ალა ოფიცერო!

— ნუთუ არ იცით, ზეინალ აბდინ ხან, რომ უფროსის შეურაცხყოფა დიდი ცოდვაა ალაჰისა და შაჰის წინაშე?

— ვიცი.

— მაშინ რატომ ჩაიდინე ასეთი რამ?

ჯარისკაცმა დამსმენი თითქოს თვალით გაბურღა, მაგრამ გულს მალე მოერია და ოფიცერს განუმარტა:

— ალი-მირზამ თვითონ შეურაცხმყო, ალა ოფიცერო!.. მაგისი უფროსობა მარტო ლანძღვა და ყვირილია. ამ დილით ისეთი რამ მაკადრა, ველარ მოვითმინე და ვხეთქე... დიდ ალაჰს ჯარისკაცი იმისთვის როდი გაუჩენია, ლანძღონ და დაიბრიყვონ.

ალი-მირზა ისევ უფროსს მიეახლა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ოფიცერს სახე უსიამოვნოდ მოეჭმუხნა, მაგრამ მაშინვე თავისი მოვალეობა გაახსენდა:

— ზეინალ-აბდინ ხან! შენ შეურაცხყოფა მიაყენე ირანის სახელოვანი არმიის ოფიცერს. ამისათვის, ალაჰის ნებით, სასტიკად დაისჯები... მიიღებ ას როზგს!

შერისხულს წარბები არ შეუხრია. ჩანდა, სასჯელის გარდაუვალობას წინასწარ იყო შეგუებული.

ის იყო ოფიცერმა კიდევ რაღაცის თქმა დააპირა. რომ მწყობრიდან მეორე ჯარისკაცი გამოვიდა. იგი გვერდში ამოუდგა როზგმისჯილს და თვალი თამამად გაუსწორა გაკვირვებულ უფროსებს.

— შენ რაღა გინდა? — არ დააყოვნა კითხვა ოფიცერმა.

— მე მინდა, რომ სასჯელი შუაზე გაყოთ... იმ ასი შალაღიდან ნახევარი მე დამკარით.

— მაინც რა დაგიშავებია ასეთი?

— არაფერიც არ დამიშავებია, ალა!.. უბრალოდ, მაგას რომ ასი შალაღი დაჰკრათ, ვერ აიტანს... კაცია!.. შეიძლება, მოკვდეს კიდეც... მაშინ მე ცოცხალი თავი რაღად მინდა, სირცხვილით ქვეყანაზე როგორ გავიარო!

— ჰომ! — ჩაეღიმა ოფიცერს. — ეტყობა, შენც კარგი ყოჩაღი ვინმე ხარ!.. მაინც რატომ ასე გამოგიდვია თავი? ძმაა შენი?

— არა, ალა ოფიცერო!.. უბრალოდ, ერთი მხრიდანა ვართ, ფერეიდნელები. მე საჰებ-ემირს მეძახიან.

„მოდი და ასეთი ჯარისკაცი გაროზგე!.. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ უნდა გადავაგდოთ ეს სამარცხვინო და ადამიანის დამამცირებელი სასჯელი?.. არა, რადაც უნდა დამიჯდეს, ამ ბიჭებს გაწკეპვლა უნდა ავაცილო“...

ოფიცერმა ჯიბიდან საათი ამოიღო, ზედ დახედა და მისი ყოყმანით შეცბუნებულ ხელქვეითს ხმამაღლა უთხრა:

— ალა-მირზა!.. ახლა გამახსენდა, რომ ისპაჰანის ვალისთან ვარ დაბარებული. მაგვიანდება. ამათი დასჯა შემდეგისათვის გადავდოთ... დიდ არს ალაჰი!

— დიდ არს ალაჰი! — დაიღრიალეს ჯარისკაცებმაც.

. . .

ეს პატარა ამბავი ამ ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა ისპაჰანში, ყაჯართა ბატონობის ხანაში.

ხობის ხუჭუჭა სერებიდან ისპაჰანის შიშველ ზეგნებამდე ათასი მთა უნდა გადაიარო.

ანისისა და ისპაჰანის მოედნებზე მომხდარ ორ ამბავს შუა კი რვა საუკუნის მანძილია ჩამდგარი.

მორწმუნე რომ ვიყო, მრავალგზის დავიფიცებდი: ფერეიდნელ ჯარისკაცს საჰებ-ემირ დავითაშვილს გაგონილიც არ ჰქონია ცოტნე დადიანის სახელი.



# მეტი რა მსაქმეხის!

თავის სპარსულ მოგონებებში ამბაკო ჰელიძეს ერთი პატარა ამბავი აქვს გადმოცემული; იმდენად პატარა, შესაძლოა, ბევრს არც ახსოვს.

ამიტომ ამ ამბავს ჩვენ ხელახლა ვუბრუნდებით. დასავიწყებლად არ გვემეტება. მე თუ მკითხავთ, ერთ რამედ ღირს!

...თეირანში რომ ვცხოვრობდით, ჩვენს ოჯახს რამდენიმე ფერეიდნელი ჯარისკაცი დაუახლოვდაო, გვიყვება ამბაკო.

კეთილ მასპინძელს ძალიან შეჩვევიან ეს ჯარისკაცები. ზოგჯერ, თურმე, დილიდან საღამომდე არ სცილდებოდნენ. თამაშობდნენ ნარდს, ბანქოს. სწავლობდნენ მშობლიურ წერა-კითხვას და სიმღერასაც მშობლიურს — „ახ, ნეტავ ჩიტი ვიყო“...

ქართულ მასპინძლობას, მოგეხსენებათ, უღვინოდ ლაზათი არა აქვს, ამიტომ ამბაკოს უკითხავს:

— ღვინოს დალევთ?

— აბა რაის ვიქთ! — უპასუხნიათ ჯარისკაცებს. მაგრამ, ეტყობა, ისიც გახსენებიათ, რომ სპარსეთში ისინი შიიტებად იწვლებიან, ღვინო ეკრძალებათ. ამიტომ დაუმატებიათ — მზის გადახრამდე.

დაუწყიათ სმა. შეზარხოშებულან. გამხიარულებულან...

— მზე უკვე ჩადის, ფარაჯი! — შეუხსენებია მასპინძელს ყველაზე მეტად გალაღებული ჯარისკაცისთვის, შესაძლოა, გამოსაცდელადაც.

და მერედა იცით, რა უპასუხა ფარაჯიმ?

ჩავიდეს, მეტი რა ესაქმება!

. . .

პასუხი დარდიმანდი ქართველისაა და არა თავგადაგებული შიიტის.



# მწარე არაკი

„იყო ერთი გლეხი. ყავდა ორი ხარი. წავიდა სახნავზე... უღელი დაუდვა ხარებს კისერზე. მერე გუთანი უღელში გაუგდო, თაფხე სათაფხეში ჩაუგდო და უნდოდა ხნას... ხარები შეაღგეს ხნვაზე ერთი ოვრი კოლი აიდა-ჩამოიდა. მერე ერთი ხარი ჩაუწვა. გლეხმა დაიდოვ ააყენოს. ხარი არ ადგა. გლეხი დაიღალა. რო ვერ ააყენა, გლეხიც წავიდა და იმ ხარის გვერდით მიწვა და ხარ უთხრა: შენ დაწევ და მეც დავწევ, მერე შემოდგომაზე ვნახავთ, მევალე ვალში მე წამიყვან თუ შენაო“...

ეს ფერეიდნული არაკია. ცხადია, გლეხის შექმნილი. არაკი ვით არაკი!

ამ არაკს აქვს გაგრძელება, სადღაც ამოკითხული:

„ერთ ფერეიდნელ თავადს ქალალდის თამაშში ასორმოცდაათი კომლი წაუგია მდიდარ ერაყელ ვაჭართან. იმ ვაჭარს კიდევ ეს ხალხი აუყრია და თავისი ქვეყნის ერთ უდაბურ ადგილას გადაუსახლებია“.

. . .

გადასახლებიდან კიდევ გადასასახლებლად გამეტებულთა შორის, ასე მგონია, ამ არაკის მთქმელი გლეხკაციც იყო.

ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩენა. **კანტი.**

ჭეშმარიტი სიმდიდრე ქონების სიდიდე კი არ არის, არამედ მისი გონიერი მოხმარება. **ნაპოლეონი.**

ღმერთო ჩემო, დასაჯე მტერი ჩემი და შეასწარ იგი ჩემს ბედნიერებას, ხოლო მის უბედურებას მე ნუ შემასწრებ. **ჰერდერი.**

ყოველი სულელი პოულობს უფრო დიდ სულელს, რომელიც მას აქებს. **ბუალო.**

თუ გინდა, სხვებმა გიქონ საქმენი, თვითონ ნუ აქებ შენს საქმეს. **პასკალი.**

ზოგი არაფერს ამბობს იმიტომ, რომ არ იცის, რა თქვას, ზოგი კი იმიტომ, რომ დრო იცის, როდის თქვას. **მარკუს ავრელიუსი.**

ბაყაყი ხავერდით დაფენილ ტახტზე რომ დასვათ, მაინც ტალახში გადახტება. **მილერი.**

ხალხის ლანძღვას არაფრად ვაგდებდი, მაგრამ ამავე ხალხის ქება კი სიამაყითა და სიამოვნებით მივსებს გულს. **ლაროშფუკო.**

გამოცდილება პირველი და უკეთესი ოსტატია ადამიანის გონებისა. **მარატი.**

სიმდიდრე ბედნიერებაა, მაგრამ ძალიან ცოტანი კი არიან მდიდართა შორის ბედნიერნი. **დუბუა.**

უქნარობა ყველა სენზე უფრო მეტად აუძლურებს ვაჟკაცობას. **მონტესკიე.**

რაც გინდა დიდი უბედურება შეგვამთხვიოს ბედმა, ყველას გავუძლებთ, თუ უბედურებას სინდისის ქენჯნა თან არ მოსდევს. **დარკდანიელი.**

ორგვარია ზნეობა: ერთი უქმი, რომელიც გვეუბნება, ნუ იქმნ ბოროტსაო, მეორე მოქმედი, რომელიც გვიბრძანებს, ქენი კეთილიო. **ბუასტი.**

სინდისი პირველი და ხშირად უკანასკნელი ჯილდოა კეთილი საქმისათვის. **ბუასტი.**

მკვდრებთან დავაში ცოცხლები ყოველთვის მართალნი არიან. **შტეფან ცვაიგი.**

ადამიანის ცხოვრების მიზანი — ეს არის ბედნიერების ძიება. **ბერტელო.**

არ არსებობს არავითარი მაღალი მიზანი, რომ ამართლებდეს მის მისაღწევად ულირს საშუალებებს. **აინშტეინი.**



ირაკლი აბაშიძე
და გიორგი წერეთელი.

# დიდი მეცნიერი

დიდი მეცნიერი, დიდი ადამიანი — აი ვინ წავიდა ჩვენგან სამუდამოდ, აი, რა დანაკლისი განიცადა დღეს ქართულმა და მთელმა საბჭოთა მეცნიერებამ.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ჩვენი დიდი ქვეყნის მეცნიერთა სახელოვანი ოჯახის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, უცხოეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრს, საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დამაარსებელს და მის უცვლელ დირექტორს, სემიტოლოგთა ქართული სკოლის ფუძემდებელს, მრავალ საშვილიშვილო საქმეთა სამეცნიერო ხელმძღვანელს გიორგი წერეთელს მთელი მეცნიერული სამყარო იცნობდა — აღმოსავლეთიც და დასავლეთიც; მისმა უნიკალურმა შრომებმა არა მარტო ქართულს, არამედ მთელ საბჭოთა მეცნიერებას შემატა სახელი და ელვარება. იგი იყო ნამდვილი პროფესიული მეცნიერი, რომელმაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე შესწირა საყვარელ საქმეს.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის უკანასკნელი შრომა: „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მიერ აღიარებულ იქნა, როგორც დიდი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა მეცნიერებაში. ამ შრომამ, საბჭოთა სპეციალისტების თქმით, ნათელი მოჰფინა უდიდეს პრობლემას: „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ევროპის შუასაუკუნეობრივი რომანის ტიპის კურტუაზული პოემა, იგი შეიცავს ახალი მხატვრული აზროვნების თვისებებს, რომელიც მას მჭიდროდ აკავშირებს რენესანსულ მხატვრულ აზროვნებასთან. „ვეფხისტყაოსანი“ აგებულია „ოქროს კვეთზე“, „ოქროს კვეთი“ კი რენესანსული ტიპის მხატვრული აზროვნების ცენტრალური ესთეტიკური კატეგორიაა და მასზეა შექმნილი მთელ მსოფლიოში ცნობილი არა მარტო ევროპული ხელოვნების დიდი ძეგლები, არამედ დიდი ევროპული პოემებიც რენესანსის პერიოდისა. სპეციალისტების, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების აზრით აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ამ ნაშრომით დაამტკიცა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული მოვლენაა არა მარტო იდეურ-მსოფლმხედველობრივად, არამედ მხატვრული აზროვნების ტიპის, მხატვრული პრინციპების მხრივაც. აკადემიკოს გიორგი წერეთლის ამ დასკვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის, არამედ მთელი შუასაუკუნოებრივი ქართული აზროვნების ისტორიისათვის.

„ვეფხისტყაოსანი“ გიორგი წერეთლის განსაკუთრებული გატაცების საგანი იყო ახალგაზრდობიდანვე, მაგრამ რუსთაველის ამ უკვდავი პოემის ღრმად შესწავლის საქმეს მან ხელი მოჰკიდა უფრო გვიან, ამ ათიოდე წლის წინათ. მისი რუსთველოლოგიური მუშაობა წარიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და აკადემიური გამოცემის მომზადების მიმართებით.

აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა 1962 წელს გამოაქვეყნა სტატია, თუ როგორი სახისა უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი მეცნიერული აკადემიური გამოცემა. მისი აზრით ძველი ტექსტოლოგიური მეთოდები პრინციპულად უნდა ყოფილიყო უარყოფილი და ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დასდებოდა ახალი, თანამედროვე, ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიება. იგი იყო მთავარი რედაქტორი ამ ახალი ტიპის სამეცნიერო ორგანიზაციის — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის, რომელმაც ტექსტისთვის უდიდესი მუშაობა გასწია, უპირველეს ყოვლისა ქართული ენის მდიდარი სალექსიკონო ფონდის შესაქმნელად და შესასწავლად, [illegible] რუსთველური ლიტერატურის აღსანუსხავად, რათა მყარ ნიადაგზე დაეყენებინა მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აკადემიური გამოცემისათვის. გიორგი წერეთელი ველარ მოესწრო ამ სამუშაოთა დასრულებას, თუმცა მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული პირველი ნაწილი უკვე მზად არის დასაბეჭდად. ახლა მის მოწაფეთა ვალია ბოლომდე მიიყვანონ ეს საშვილიშვილო საქმე.

საქართველოს მუზეუმის „ურარტული ძეგლები“ პირველი ნაშრომი იყო საქართველოში ურარტოლოგიის დარგში. ამ ნაშრომმა და მთელმა რიგმა გამოკვლევებმა ურარტული ენის სტრუქტურის ძირითადი საკითხების შესახებ ახალი თვალსაზრისი შემოიტანა ურარტოლოგიაში, რამაც ქართული მეცნიერული აზრი ამ დარგში მსოფლიო ასპარეზზე გამოიყვანა, ხოლო მისი ავტორი გიორგი წერეთელი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა რიგებში ჩააყენა.

ფასდაუდებელია გიორგი წერეთლის ღვაწლი შუა აზიის არაბული დიალექტების შესწავლის საქმეში; მისი მონოგრაფია და მრავალი ცალკეული გამოკვლევა, რომელიც მან შუა აზიის არაბულ დიალექტებს მიუძღვნა, თანამედროვე არაბისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად არის მიჩნეული მთელ მსოფლიოში.

ასევე უნდა ითქვას გიორგი წერეთლის დიდმნიშვნელოვანი ნაშრომის — „არმაზის ბილინგვის“ შესახებ, რომელშიც მოცემულია არმაზის ხევში ნაპოვნი ქართული ეროვნული კულტურის უნიკალური საგანძურის, ეპიგრაფიული ძეგლების ღრმა მეცნიერული ანალიზი. ამ ფასდაუდებელ ნაშრომთა წყალობით დადგინდა არამეული დამწერლობის ახალი, მანამდე უცნობი სახეობა, რომელიც მეცნიერებაში შევიდა „არმაზული არამეულის“ სახელწოდებით.

„არმაზული არამეულის“ აღმოჩენამ ახლებურად დააყენა ქართული დამწერლობის საკითხი, რომელმაც ქართული უძველესი კულტურის სათავეები შორს გადასწია საუკუნეთა წიაღში.

ქართული დამწერლობის ისტორიისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება გიორგი წერეთლის ნაშრომს — „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“. ამ ნაშრომით დამტკიცებულია მეტად პრინციპული საკითხი ქართული დამწერლობის ისტორიაში: თუ დღემდე ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლებოდა ბოლნისური წარწერა, იტალიელი მეცნიერის მიერ იუდას უდაბნოში აღმოჩენილმა პალესტინურმა წარწერამ, რომელიც მეცნიერულად აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა შეისწავლა, ქართული დამწერლობის ისტორია ოცდაათი წლით მაინც გადასწია უკან.

გიორგი წერეთლის მეცნიერული ღვაწლის მთლიანი დახასიათება ერთ პატარა წერილში შეუძლებელია, მაგრამ, როდესაც ამ მეცნიერზე ლაპარაკობ, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ის უბადლო ამაგი, რაც მან დასდო ქართველოლოგიას. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი გამოკვლევა ქართველურ ენებში, სონანტთა და აბლაუტის თეორიის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ დიდი კმაყოფილებით ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ საამაყო მოვლენას, რომ ქართველმა მეცნიერებმა თავის სამშობლოში შექმნეს სამი მსოფლიო მნიშვნელობის სკოლა: მათემატიკისა, ფიზიოლოგიის და აღმოსავლეთმცოდნეობისა. აღმოსავლეთმცოდნეობის სახელოვანი სკოლის ფუძემდებელი, ჩვენგან აწ სამუდამოდ წასული აკადემიკოსი გიორგი წერეთელია.

ჩემთვის მარად დაუვიწყარია აკადემიკოს გიორგი წერეთელთან და აკადემიკოს აკაკი შანიძესთან ერთად პალესტინაში მოგზაურობა რუსთაველის ნაკვალევზე. დაუვიწყარია შეხვედრები პალესტინელ მეცნიერებთან, რომელთაც გიორგი წერეთელი აკვირვებდა თავისი ერუდიციით, აღმოსავლეთის კულტურის, დამწერლობის, ლიტერატურის, ფილოსოფიის ცოდნით, თავისი სრულიად ახლებური შეხედულებებით ბევრ საკითხზე აღმოსავლეთმცოდნეობის საქმეში და ამით მსოფლიო ასპარეზზე გამოჰქონდა ქართული მეცნიერული აზრის კდემამოსილება, მისი მაღალნიჭიერება, აცნობდა მათ ქართველი კაცის გონიერების ძალას.

საბჭოთა საქართველო კანონიერად ამაყობს აკადემიკოს გიორგი წერეთლის მრავალმხრივი მეცნიერული აზრის სიდიადით.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის დაკარგვით ჩვენმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

ირაკლი აბაშიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ფერია თიკანაკე



ყაყაჩოები.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

გურამ თიკანაძე

მეცხვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავტოპორტრეტი.

# გურამ თიკანაძე



მომავალი მეზღვაურები.

ზოოპარკში





ეროვნული ბიბლიოთეკა

ალპინისტები.

# თეთრი ეტლი

ვაჟს დანატრებულმა მამამ ბიჭის შეძენიდან კვირის სწორზე ახლობლებსა და მეგობრებს დაუძახა და ლხინი გამართა. მასპინძელმა სუფრაზე თამადად ცოლის ძმობილი დანიშნა.

ლალი იყო თამადა. სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, მოილხინა. უკრავდა გიტარას, მღეროდა, ცეკვავდა. შეიკლა მასპინძელი ხელში, წარამარა ყურს უწევდა, სვამდა და ასმევდა მემკვიდრის სადღეგრძელოს. ახალშობილსაც აუტყდა:

— ადექი, შე მამაძაღლო, ერთი ჭიქა დაგვილიე!

ამ დროს ჩვილ ყრმას, იქვე, განიერ საწოლზე მწოლარეს, დედისრძით დამთვრალს თვალები დაეხუჭა და ტკბილად ეძინა. ენა გაუტეხავი ჰქონდა, ყური დახშული, თვალებიდან მხოლოდ რძისფერ ღრუბლებს ხედავდა. არადა, თამადის ყოველ გახუმრებაზე — ადექი, ბიჭო, ღვინო დალიეო — იღიმებოდა.

თამადას ჯერ ეგონა, მეჩვენებაო, მერე ადგა სუფრიდან, მივიდა ყრმასთან, დააკვირდა და რას ხედავს: ახალშობილს ბაგეზე ღიმილი დასთამაშებს.

იფეთქა თამადამ: დობილს უხმო თავისთან, დაიმოწმა:

—შეხედე, თუ და ხარ, ამ თოთოს, ტუჩზე რძე არ შეშრობია და რამდენი სიტყვა ამოვილე, იმდენი გადაფიჩინდა.

დობილს გაეღიმა, მიეფერა თამადას.

— ნუ სვამ ამდენს, გიყვარდეს მაინც ღვინო! შენ ამის ხათრით იჭყიპები, ეს კი, ხომ ხედავ, დაგცინის, დედის რძეს მაგ შხამზე როგორ გაცვლიო.

— ერთი ამას დამიხედეთ! — მოჰყვა ისევ თამადა. იზრება, გესმით? გამიშვით, უნდა ვცემო!

— შენ ხუმრობ და, ერთი იცოდე, რა ღონე აქვს! აკვანში მინდოდა გამეზარდა, ჩავაწვინე შიგ, გასკდა ბღავილით, არტახები დაწყვიტა, არ გაჩერდა. სხვა გზა არ არის, ვატყობ, ეტლი დაგვჭირდება, იშოვებოდეს მაინც! — დაიწუწუნა დობილმა.

— ეტლი? — წაართვა სიტყვა დობილს თამადამ და მოჰყვა: — მოგიკვდეს ჩემი თავი, ახლავე, ახლავე გაგიჩენ ეტლს. იას ეტლს მოგართმევ, მერე რა იღბლიანია. ისე გახდა გოგო ერთი წლის, თითი არ წამოსტკენია, — თქვა, სუფრას დაეთხოვა, გიტარა დააგდო, გარეთ გავარდა, მოახტა თავის „ლურჯას“ და გასრიალდა.

მალე დაბრუნდა, თეთრი ორთვალა საბავშვო ეტლი კარებში ძლივს რომ შემოეტია, ბაღდივით ატატებული ოთახში შემოიტანა და ყრმას ფერხთით დაუდო.

— მერე ჩემი ჯერია...

— მესამე მე ვარ...

— მეოთხე მე...

— მეხუთე მე...

იძახდნენ აქეთ-იქიდან სუფრის გარშემო მსხდარი სტუმრები.

თამადას განა ერთი დობილი ჰყავდა? ყველა მისი ძმობილი იყო, მისი დობილი.

* * *

გაიქცა დრო, გაფრინდნენ დღეები. ყრმა წამოიჩიტა, გაიზარდა, დავაჟკაცდა. დავაჟკაცდა და საძინებელი გამოუცვალეს. ყმაწვილს არ ეამა ახალი საწოლი. ეტლში ჩამაწვინეთო — ითხოვდა და კუთხეში უქმად მდგარი თეთრი ეტლისაკენ იწევდა.

ერთ დღეს გაქრა ყმაწვილის ოთახიდან ეტლი. იგი დედამ პატარა ბაჩოს წაუღო. ბაჩოს მამას ნოდარს ძეობა ჰქონდა. ძეობაზე იყო ყველა, აკლდა ერთი, გურამი. გურამი ერქვა იმ სუფრის თამადას, გურამ თიკანაძე.

* * *

გავიდა ათი წელი. ამ ათ წელიწადში რამდენი ძეობა, რამდენი ქორწილი, რამდენი ნათლობა გადაიხადეს გურამის მეგობრებმა, გურამი არ არის მათთან. არც ჭირში ჩანს, არც ლხინში: არის მხოლოდ მისი ფოტოხელოვნება, მისი პოეტური თვალი, ნიჭი. აგერ, თიკანაძის „ოლე“, „წყლის წვეთი“, „კალმახი“, „დედამ დაიგვიანა“, „აჭარელი მევენახე“, „მთანი მაღალნი“, „აყვავებულა მდელო“ და მრავალი მისი შედევრი. ეს შედევრები დროდადრო ახლაც გაიელვებენ ჩვენს გაზეთებში, ჟურნალებში და გურამს გააცოცხლებენ. დედა, გურამის დედა არ ავიწყებს თავის შვილს — გურამ თიკანაძეს, მკითხველებს, შვილის მეგობრებს, კოლეგებს... და კიდევ თეთრი ეტლი... თეთრი ეტლი არ გვავიწყებს გურამს...

ათი წელია ხელიდან ხელში გადადის ეტლი. ხან მანანა ზის შიგ, ხან ხათუნას სძინავს, ხან გაგასია ეტლი, ხან ქეთინოსი.

კვლავ გაიქცევა, გაირბენს დრო და გურამის მეგობრებს ეს ნანატრი დღეც გაუთენდებათ — დადგება იას ჯერი და მაშინ თეთრი ეტლი, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული, იასკენ დაიძვრება. ეტლი იას ძეობაზე დაუბრუნდება.

გულნარა ბახტაძე.

# ჩილეს ტრაგედია

## „ლა მონედა“ ცეცხლში

ამა წლის 11 სექტემბერს ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ უჩვეულოდ ადრე შეაღო თავისი კაბინეტის კარი პრეზიდენტის სასახლე „ლა მონედაში“. გათენებისას მას აცნობეს მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ. პრეზიდენტმა თვითონაც იცოდა, რომ მზადდებოდა შეთქმულება და აკი აფრთხილებდა კიდეც ხალხს, მოუწოდებდა სიფხიზლისა და გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. მას კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში სამხედრო გადატრიალება. ამიტომ შეიტყო თუ არა, რომ ჩილეს სამხედრო-საზღვაო ნაწილებში დაიწყო ამბოხება, ხოლო სანტიაგოში შეთქმულები პრეზიდენტის სასახლესთან იყრიან თავსო, ალიენდემ რადიოთი მიმართა ჩილელ ხალხს, ქვეყნის ყველა მშრომელს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ პუტჩისტებისათვის.

ამბოხების მოთავეებმა, სამი სახეობის ჯარების სარდლებმა პინოჩეტმა, ლი გუსმანმა, მერინომ და კარაბინერთა კორპუსის წარმომადგენელმა მენდოსამ შექმნეს სამხედრო ხუნტა და მოსთხოვეს ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს გადადგომა. მეამბოხეთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს დედაქალაქის ყველა საკვანძო პოზიცია. სანტიაგოს თავზე თვითმფრინავები გამოჩნდნენ. პრეზიდენტმა ალიენდემ მტკიცე უარით უპასუხა მოღალატეებს. თვითმფრინავებმა ბომბები დააყარეს სასახლეს, დაუშინეს რაკეტები. მერე არტილერიამ გახსნა ცეცხლი, დაიძრნენ ტანკები, მეავტომატეები. თითქმის ექვსი საათის მანძილზე გრძელდებოდა პრეზიდენტის სასახლის შტურმი, თითქმის ექვსი საათის განმავლობაში იგერიებდა ავტომატით ხელში სალვადორ ალიენდე და მისი პირადი დაცვა პუტჩისტთა იერიშებს. ბოლოს და ბოლოს მეამბოხეები შეიჭრნენ ნანგრევებად ქცეულ სასახლეში, ავტომატებით დაცხრილეს პრეზიდენტი, მისი პრესატაშე აუგუსტო ოლივარესი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დანიელ ვერგარა. პრეზიდენტის პირადი დაცვიდან ცოცხლად დარჩენილი ოცი კაცი კი კედელთან მიაყენეს და დახვრიტეს.

„ლა მონედა“ ცეცხლში იყო გახვეული.

## ხუნტა მძვინვარებს

ასე დაიწყო ჩილეს ტრაგედია. სანტიაგოს ცენტრში და მუშათა გარეუბნებში გაafთრებული ბრძოლები გაჩაღდა პუტჩისტებსა და სახალხო ერთიანობის მთავრობის მომხრეებს შორის. ბრძოლები გაიმართა ვალპარაისოში, კონსეპსიონში, ანტოფაგასტაში და ჩილეს სხვა ქალაქებსა და პროვინციებში. მეამბოხეებმა სისხლიანი ტერორი დაატეხეს თავზე ჩილელ ხალხს: შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი, მკაცრი ცენზურა, დახურეს აეროდრომები, გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი გარე სამყაროსთან, უპრეცენდენტო სისასტიკით დევნიან სახალხო ერთიანობის მთავრობის მომხრეებს. ახლა ჩილე მსოფლიოს წარუდგა ფაშისტური ტერორით, საკონცენტრაციო ბანაკებად გადაქცეული სტადიონებით, თხრილებით, რომლებშიც ყარდებიან დახვრეტილთა გვამები, მდინარეებით, რომლებშიც ტივტივებენ ასეთივე გვამები. დახოცილია ათასობით და ათასობით ადამიანი. როგორც იუწყება ფრანგული გაზეთი „ფიგარო“, სანტიაგოს მარტო ერთ კლინიკაში აღრიცხულია ათასზე მეტი სიკვდილის შემთხვევა. ათეულ ათასობით კაცი დაპატიმრებულია და გამომწყვდეულია იმპროვიზირებულ ციხეებში, სტადიონებზე, თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო აკადემიების, გარნიზონების შენობებსა და ყაზარმებში, კუნძულ კირიკინის ჯურღმულებში. პატრიოტებს უმოწყალოდ აწამებენ, სჯიან სიკვდილით. სახალხო ერთიანობის მთავრობის ყოფილი მინისტრები ო. მილიასი და პ. ვუსკოვიჩი დახვრიტეს, დახვრეტილია აგრეთვე ასობით და ათასობით პატრიოტი, სულ, როგორც მოწმეები აღნიშნავენ, 25 ათასი კაცი. სიკვდილი ემუქრება ჯალათების ხელში ჩავარდნილ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანსაც. მეამბოხეთა რადიომ გამოაცხადა ჩილეს ახალი მთავრობის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფაშისტი გენერალი აუგუსტო პინოჩეტი. ხუნტამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა კუბასთან, რომლის საელჩოს სანტიაგოში პუტჩისტებმა ცეცხლი დაუშინეს და მძიმედ დაჭრეს კუბელი დიპლომატი ლუის ფარიასი.

ორმოცი წლის წინათ სწორედ ასე იკიდებდა ფეხს ფაშიზმი გერმანიაშიც.

## გზა პუტჩისაკენ

თუ ჩილეში განვითარებულ მოვლენებს თვალს გავაყოლებთ, ადვილად დავინახავთ იმას, თუ რამ გააბოროტა ასე ამ ქვეყნის რეაქციული ძალები. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა სახალხო ერთიანობის მთავრობა პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მეთაურობით, პირველად ჩილეს ისტორიაში გადაჭრით დაიწყო უდიდესი სოციალური გარდაქმნები: ბოლო მოეღო უცხოური მონოპოლიების პარპაშს, ჩატარდა აგრარული რეფორმა, მემამულეთა ლატიფუნდიები განაწილდა მშრომელ გლეხებს შორის, ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების უდიდესი ნაწილი მუშათა ხელში გადავიდა, გადიდდა მშრომელთა ხელფასები, პენსიები, დაიწყო საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა, მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობა. და ყველაფერი ეს ჩილელმა ხალხმა მოასწრო საოცრად მოკლე დროში — სახალხო ერთიანობის ფრონტის გამარჯვების სამი წლის მანძილზე. სწორედ ამ ღონისძიებებმა და გარდაქმნებმა გააბოროტა ასე ჩილეს რეაქციული ძალები და მათი მხარდამჭერი უცხოური მონოპოლიები, რომლებიც ხალხმა კინწისკვრით გაყარა თავისი ქვეყნიდან.

ბურჟუაზიულ-მემამულური ოლიგარქია ყოველმხრივ უწევდა საბოტაჟს მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებებს, ხელს უწყობდა სპეკულაციის განვითარებას, აწყობდა სატვირთო ავტოტრანსპორტის მფლობელების, ვაჭრების, მუშათა და მოსამსახურეთა ზოგიერთი ჯგუფების პროვოცირებულ „გაფიცვებს“, რაც უდიდეს ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას. ეკონომიურ საბოტაჟს თან ახლდა ტერორისტული აქტები და დივერსიები — რკინიგზების, ხიდების, ნავთსადენების, ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქებები, თავდასხმები მემარცხენე პარტიებისა და სახალხო ერთიანობის მომხრეთა შენობებზე, მკვლელობანი.

რეაქცია ცდილობდა არ მიეცა მთავრობისთვის ეკონომიური სიძნელეების გადალახვის საშუალება, სულ უფრო გაემწვავებინა პოლიტიკური მდგომარეობა და ებიძგა არმიის მემარჯვენე წრეებისათვის სამხედრო გადატრიალებისაკენ. განსაკუთრებით ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ სახმელეთო ჯარების მთავარსარდალზე გენერალ კარლოს პრატსზე, რომელიც მხარს უჭერდა კონსტიტუციურ მთავრობას. სწორედ გენერალ პრატსის გადამჭრელი მოქმედების წყალობით და მისი პირადი მონაწილეობით ჩახშობილი იქნა სანტიაგოში 29 ივნისს რეაქციული ამბოხება ჯავშანსატანკო ნაწილებში. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ რეაქციულად განწყობილმა გენერლებმა აიძულეს პრატსი გადამდგარიყო. ამით თავიდან მოიშორეს ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება მათ მიერ ჩაფიქრებული გადატრიალების გზაზე.

## რის გაკეთება შეეძლო მთავრობას?

პრეზიდენტი ალიენდე და სახალხო ერთიანობის მთავრობა კარგად ხედავდნენ რეაქციული გადატრიალების მზარდ მუქარას. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის აღსაკვეთად. მაგრამ მთავრობის შესაძლებლობები კონტრრევოლუციური ძალების აღსაკვეთად მეტად შეზღუდული იყო. სახალხო ერთიანობის კოალიცია წარმოადგენდა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაშინ როცა ოპოზიცია კონტროლს უწევდა პარლამენტს, სასამართლო ორგანოებს და მასიური ინფორმაციის საშუალებათა უდიდეს ნაწილს. მთავრობის ყველა ცდა შეთქმულთა დასათრგუნავად პრაქტიკულად უშედეგო რჩებოდა პარლამენტში, სასამართლოებსა და სახელმწიფო აპარატში ფეხმოკიდებული რეაქციის მოქმედების გამო. როცა სახელმწიფო ორგანოები აპატიმრებდნენ შეთქმულებს, ტერორისტებს და დივერსანტებს პირდაპირ დანაშაულის ადგილზე, როცა ცდილობდნენ დაეხურათ შეთქმულთა გაზეთები ან რადიოსადგურები, სასამართლო ორგანოები ათავისუფლებდნენ ბოროტმოქმედებს, აუქმებდნენ მთავრობის ბრალდებებს.

ალიენდეს მთავრობა განუხრელად იცავდა ჩილეს კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც კრძალავენ ქვეყანაში სხვა რომელიმე შეიარაღებული ძალის ფორმირებას უკვე არსებულ შეიარაღებულ ძალებსა და კარაბინერთა კორპუსთან (პოლიცია) ერთად. მართალია, ფაშისტური ელემენტებისა და ტერორისტული ორგანიზაციებისაგან თავის დასაცავად ქვეყნის საწარმოებში მუშებმა შექმნეს თვითდაცვის რაზმები, მაგრამ თავიანთი აღჭურვილობით ისინი ვერც კი შეედრებოდნენ პოლიციის ქვეგანაყოფებსა და რეგულარულ არმიას.

და მაინც სწორედ ამ რაზმებმა გაუწიეს მთელ რიგ პროვინციებში მედგარი წინააღმდეგობა მეამბოხეებს. პუტჩისტები იძულებული იყვნენ გადაესროლათ მათ წინააღმდეგ ტანკები, არტილერია, ავიაცია.

ჩილელმა მუშებმა უჩვენეს მსოფლიოს, რა არის პროლეტარული სული და რას ნიშნავს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

## ბრძოლა გრძელდება

ხუნტა სპობს ყველაფერს, რაც შექმნა სახალხო ერთიანობის მთავრობამ ხელისუფლების სათავეში სამი წლის ყოფნის დროს. მაგრამ მას ავიწყდება ერთი რამ, რის მოსპობაც არავითარ ძალას არ ძალუძს — ჩილელი ხალხის მიერ შეძენილი და მის სულში ფესვებგამდგარი ახალი შეგნება. მუშებმა, გლეხებმა, მოსამსახურეებმა ახლა უკვე იციან, რომ სწორედ ისინი და არა ერთი მუჭა კაპიტალისტები, მემამულეები, ბანკირები და უცხოელი მონოპოლისტები არიან ქვეყნის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონნი, იციან და არც აპირებენ თავიანთი საკუთრების დათმობას. „მე ვიმყოფები სან-მიგელში, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი, — სამხრეთ სანტიაგოს საქარხნო სარტყელის მუშათა გარეუბანში. „მათ მოკლეს ამხანაგი ალიენდე, — მითხრა აქ 23 წლის მუშამ, — მაგრამ ამით მათ გვიჩვენეს, თუ ვინ არის ჩვენი ნამდვილი მტერი. ბრძოლა ხანგრძლივი იქნება. სინამდვილეში ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება“.

დიახ, იწყება, იწყება და გრძელდება.

ფაშისტური ამბოხებიდან ერთი კვირის თავზე არგენტინაში შეიქმნა ჩილეს განთავისუფლების პატრიოტული ფრონტი. ფრონტს მეთაურობენ ჩილეს ყოფილი ელჩი კუბაში ხუან ენრიკე ვეგა და სახალხო ერთიანობის სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ხორხე არატე. იგი გააერთიანებს რეაქციული სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილი ჩილეს სახალხო ერთიანობის მთავრობის ყველა მომხრეს. არგენტინაში ჩამოვიდა ჩილეს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი კარლოს პრატსიც.

სული, რომელიც შთაბერა ჩილელ ხალხს სალვადორ ალიენდემ, კვლავაც იცოცხლებს და იბრძოლებს. ალიენდე პროფესიით ექიმი იყო. მაგრამ იგი მარტო ცალკეულ ადამიანებს როდი ჰკურნავდა. მას სურდა განეკურნა გაჭირვებისგან, შიმშილისა და დამცირებისგან მთელი ხალხი. იგი დაიღუპა, მაგრამ დარჩა თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა მეწინავე რიგში, როგორც მოწოდება, როგორც ხალხისათვის თავდადებული ცხოვრების ნათელი მაგალითი.

ა. აგულაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა შამუგია.

ტანვარჯიშის გულშემატკივრებს გუშინდელ დღესავით ახსოვთ ქართული ტანვარჯიშის ვარსკვლავების: გულო რცხილაძის, ალექსანდრე ჯორჯაძის, კოკა თაყაიშვილის, მზია ჯუღელის გამოსვლები.

მათი სახელები დიდხანს ბრწყინავდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშე ვარსკვლავთა შორის. გავიდა ხანი... რა თქმა უნდა, მომდევნო წლებშიც ჰყავდა საქართველოს ძლიერი ტანმოვარჯიშეები, მაგრამ ტანმოვარჯიშეთა შემდეგი თაობა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე ისე აღარ ბრწყინავდა.

და აი, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი სპორტის სასახლეში გამართულ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაზე.

რამდენი საერთაშორისო მასშტაბის გამარჯვებაა დაკავშირებული ისეთ სახელებთან, როგორიც არის ლუდმილა ტურიშჩევა, ელვირა საადი, ნელი კიმი, ტატიანა შჩეგოლკოვა, გიორგი ბოგდანოვი, ალექსანდრე მალეევი, ალექსანდრე ულიანოვი.

ქართველმა სპორტსმენებმა სწორედ მათთან ჭიდილში მიაღწიეს შესანიშნავ წარმატებებს.

სსრ კავშირის თასი და მეორე ადგილი, სსრ კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო... ერთ შეჯიბრებაში ასეთი ნადავლი ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ოც წელზე მეტია არ მოუპოვებიათ.

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა პა-

რუსუდან სიხარულიძე ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.



ეროვნული ბიბლიოთეკა





პაატა შამუგია ძელზე და რგოლებზე ვარჯიშის დროს.



რ. სიხარულიძის მწვრთნელი ა. გაბრიაძე თავის მოწაფეს წარმატებას ულოცავს.

# ტანვარჯიშის ახალი ვარსკვლავები




ატა შამუგიამ დაამტკიცა, რომ ნამდვილი სპორტსმენი მხოლოდ ის არის, ვისაც შესწევს ძალა დაამარცხოს თავისზე ძლიერი. მან ბრწყინვალედ ჩაატარა ორდღიანი ტანვარჯიშული მარათონი და სსრ კავშირის თასი არავის დაუთმო. ქალებში დიდად იმარჯვა ტანვარჯიშის დიდოსტატმა ლუდმილა ტურიშჩევამ. ნატიფი ოსტატობითა და პლასტიურობით გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი, ბათუმელი რუსუდან სიხარულიძე. ნორჩმა ნინო დრონოვამ წარმატებას მიაღწია... მაყურებელთა სიმპატია დაიმსახურა თექვსმეტი წლის ჩიმკენტელმა გოგონამ ნ. კიმმა, ტაშკენტელმა ე. საადიმ და სხვებმა.

კვლავ წარმატებებს, გამარჯვებებს ვუსურვებთ ტანვარჯიშის ახალ ვარსკვლავებს.

რუსუდან სიხარულიძე.

ფოტო მ. დათიკაშვილისა და ს. ედიშერაშვილისა.

ნინო დრონოვა.



ლუდმილა ტურიშჩევა.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამომთვლელი მანქანა.

# გამოთვლითი ცენტრი

გამომთვლელი მანქანის სამართავი პულტი.



ლამარა მარგიანი და გიზო ორბელაძე ამოწმებენ პერფორირებული ბარათების სისწორეს.

ფოტო ბონდო დადვაძისა.



მეცნიერ-თანამშრომლები აწარმოებენ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა არხების სეისმურ გაანგარიშებას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში კიევის კიბერნეტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

უკრაინელმა მეგობრებმა ქართველ სპეციალისტებს სთხოვეს, ქალაქ ლვოვის ტელევიზორების ქარხნისათვის დაემუშავებინათ მზა პროდუქციის რეალიზაციის მართვის ქვესისტემა.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დასადგენი იყო, ლვოვის ტელევიზორების ქარხანას რომელი მარკის და რამდენი პროდუქცია უნდა გამოეშვა, სად და როდის უნდა გაეგზავნა იგი, რომ მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა მომხმარებელი და წარმოებაც მოგებული დარჩენილიყო.

დაიწყო დაძაბული მუშაობა. გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა დეტალურად შეისწავლეს ლვოვის ქარხნის შრომითი პროცესის ეკონომიური შინაარსი, დაადგინეს ეფექტიანობის კრიტერიუმი და მზა პროდუქციის ოპტიმალური განაწილების ამოცანა შეადგინეს.

ნაპოვნი იქნა ამოცანის ამოხსნის წესი. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მიღებული ყველა მონაცემი სპეციალისტებმა მანქანისათვის გასაგებ კოდურ ენაზე გარდაქმნეს, თითოეული დეტალი ერთხელ კიდევ გულმოდგინედ გააანალიზეს, პერფობარათებზე ჩაწერეს და მანქანაში ჩაალაგეს.

საბოლოო სიტყვა ახლა მანქანას უნდა ეთქვა.

ელექტრონულ გამოთვლითმა მანქანამ უამრავი ვარიანტიდან სწრაფად შეარჩია ერთი ყველაზე საუკეთესო ვარიანტი და დოკუმენტის სახით ჩამობეჭდა. ამ ზუსტმა და ამომწურავმა პასუხმა იურიდიულად დააკანონა, რა კრიტერიუმი უნდა დასდებოდა საფუძვლად ლვოვის ქარხნის მუშაობას და გამოშვებული პროდუქციის განაწილების პრინციპს.

უკრაინელი მეგობრების მიერ დასმული ამოცანის გადაწყვეტა, რომელსაც ორი წელი დასჭირდა, ერთ-ერთი რიგითი მაგალითია იმ დიდი, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობისა, რასაც გამოთვლით ცენტრში ეწევიან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი ჩვენი რესპუბლიკის, ასე ვთქვათ, მანქანური „აზროვნების" გულია. წლების მანძილზე აქ სისტემატურად მუშავდება ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა დიდი ეკონომიური სისტემების გამოკვლევა, მათემატიკური მოდელის შექმნა, მართვის ავტომატიზებული სისტემების წარმოებაში დანერგვა, ახალი ტექნიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო გაანგარიშება...

გამოთვლით ცენტრში დამუშავებულმა მთელმა რიგმა ფუნდამენტურმა პრობლემებმა დიდი მოწონება და პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა დიდი წვლილი შეიტანა უნიკალური ნაგებობის — ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის აგებაში.

სწორედ აქ, ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ამ რთულ სამყაროში, მოხდა გიგანტური კაშხალის გაანგარიშება: დადგინდა მისი ფორმა, სისქე, სიმტკიცე, დაზუსტდა სიმაღლე.

მეცნიერული კვლევა-ძიება გრძელდება.

გამოთვლითი ცენტრის მთელი კოლექტივი საიმედო რაზმად დგას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სამსახურში.



პერფორაციის განყოფილების ლაბორანტი მაგული სადრაძე უნივერსალურ გამომთვლელ მანქანასთან.

ინჟინერი ალ. ცინდელიანი ახალ გამომთვლელ მანქანასთან.







ლინოტიპისტი იზოლდა ჩაკალაშვილი და № 1 სტამბის დირექტორი ვახტანგ მენთეშაშვილი სალინოტიპო საამქროში.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

# პირველობას არავის უთმობს

მარცხნიდან — გიგლა ხურციძე (უფროსი ოსტატი), ოთარ მიქელაძე (საამქროს უფროსი). მერი ლაგვილავა (მკინძავი) და გულნარა თვალიაშვილი (ასოთამწყობი).



მრავალი წიგნი მოგწონებია, ძვირფასო მკითხველო, ზოგჯერ მადლობის წერილიც მიგიწერია წიგნის ავტორისათვის. მართლაცდა, როგორ არ უნდა უმადლოდე მწერალს, რომელმაც ესთეტიკური სიამოვნება მოგანიჭა, ბევრი რამ გასწავლა, ბევრ რამეზე დაგაფიქრა, სულიერად უფრო გაგასპეტაკა და თითქოს ძალღონეც გაგიორკეცა. მადლობა გეკუთვნის, მკითხველო, ამ მადლიერებისათვის, მაგრამ გიფიქრია, ვინ ედგა მწერალს ან მეცნიერს მხარში, შენს გულში კეთილი თესლი რომ ჩაეთესა, შენი სული ცოდნის სხივით რომ გაეთბო, შენი ბაგე სიბრძნის წყაროსთვის რომ დაეწაფებინა? გიფიქრია, ვინ არიან ის ადამიანები, ბრძნული აზრები რომ ჩამოგიმარცვლეს, დაგიკაბადონეს, კოხტად აგიკინძეს, ლამაზად შეგიკონეს და ნობათად მოგართვეს?

ესენი სტამბის მუშები არიან, ასოთამწყობები, მბეჭდავები, შავი საღებავით ხელებდასვრილნი, ამ საღებავის უსიამო სუნი საამო სურნელებად რომ ეჩვენებათ, რადგან უყვართ წიგნი და იციან, რა მადლიან და კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან.

ესენი ის ორგანიზატორებიც არიან, ვინც ხელს უწყობს ხელმძღვანელობს ამ ადამიანებს, მათს შრომას სახელსა და დიდებას ჰმატებს ხალხისა და ქვეყნის თვალში.

ერთი ასეთი ხელმძღვანელთაგანია ვახტანგ მენთეშაშვილი, თბილისის № 1 სტამბის დირექტორი, გამოცდილი და უნარიანი პოლიგრაფისტი, სტამბის ხუთი თითივით მცოდნე და ლიტერატურის მეგობარი.

ვისაც სურს დარწმუნდეს ამაში, შეიაროს ორჯონიკიძის ქუჩაზე პირველი სტამბის დირექტორის სამუშაო ოთახში, თვალი შეავლოს ოქროსფერი ფუნჯით დამშვენებულ წითელ დროშას, მოვარაყებული ასოებით რომ აწერია, ეს დროშა საბჭოთა კავშირში იმ სტამბას გადაეცემა, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებსო.

რა თქმა უნდა, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და გარდამავალი დროშის თბილისში წამოღება სტამბის მთელი კოლექტივის გარჯის შედეგია, ეს დროშაც და სხვა ჯილდოებიც ლინოტიპისტების, მბეჭდავების და საამქროს უფროსთა ოფლით არის მოპოვებული, მაგრამ მაორგანიზებელი ძალა ხომ გამარჯვების პირველი პირობაა! განა 1970 წლამდე, სანამ ახალი დირექტორი მოვიდოდა, ამ სტამბაში ზარმაცი მუშები იყვნენ? განა იმ ადამიანთა უმრავლესობას, ვინც ახლა ასეთი საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა, თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე აქ არ გაუტარებია? მაგრამ სტამბა მაინც ჩამორჩენილად ითვლებოდა, გეგმები არ სრულდებოდა და პროდუქციის ხარისხიც არ იყო სახარბიელო.

ახლა?

დაიარეთ საამქროები, დაათვალიერეთ მანქანები, თვალი მოავლეთ ყოველ კუთხესა და კუნჭულს... ყველაფერი ისეა გაკრიალებული, დალაგებული და დასუფთავებული, ყველა საამქროში ისეთი სანიმუშო წესრიგი მოგხვდებათ თვალში, რომ მუშაობის ღრმად გაცნობა, გულმოდგინე გამოკითხვა და დაინტერესება არცკია საჭირო, ისეც მიხვდებით, რა სტამბაა ეს, რა ხალხი მუშაობს აქ, როგორ მუშაობენ და რა ხალისი ამუშავებთ...

წიგნის მაღაზიათა თაროებზე ვერ ნახავთ უგულისყუროდ გამოცემულ წიგნებს, რომლებსაც № 1 სტამბის იარლიყი ჰქონდეს. გაუმჯობესდა წყობის ტექნიკა, აღიკვეთა უხარისხო აკინძვისა და „ამღვრეული“ ბეჭდვის შემთხვევები. საწარმოო გრაფიკი აქ ყოველთვის ზუსტად არის დაცული. საამწყობო და საბეჭდი საამქროების საქმიანობა ისეა მოგვარებული, რომ მუშაობა არ შეფერხდეს, დრო არ დაიკარგოს.

სწორედ ამიტომ არის, რომ საწარმოო გეგმები გადაჭარბებით სრულდება, შრომის ნაყოფიერებაც გაიზარდა და პროდუქციის ხარისხიც გაუმჯობესდა. მარტო წლევანდელი წლის — მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველ ნახევარში გეგმის გადაჭარბებით ცხრაასიათასზე მეტი ფურცელანაბეჭდია გამოშვებული. ეს რაოდენობა წიგნებად რომ ვიანგარიშოთ, თხუთმეტთაბახიანი, თითოეული ათიათასტირაჟიანი ექვსი წიგნი გამოვა. ეს კი ცოტა როდია!

ოთარ მიქელაძე, რევაზ მეტრეველი, რუსუდან მახარაძე, შოთა ჯიჯეიშვილი, გულიკო თვალიაშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ბევრია აქ მუყაითი და საქმისთვის გულშემატკივარი ადამიანი. ზოგმა მათგანმა ათეული წლების წინათ აქ გადადგა პირველი შრომითი ნაბიჯი და მას შემდეგ არ მოსცილებია თავის სტამბას, რომელსაც ოჯახისგან ვერ გამოარჩევს.

რუსუდან მახარაძემ, ომგადახდილმა სამხედრო ფერშალმა, როცა ქვემეხთა გრიალი შეწყდა და სამშობლოს ზეცამ ღრუბლები გადაფანტა, ახალ პროფესიად ასოთამწყობობა აირჩია. ცოტა რამეს მეტყველებს ეს ფაქტი? საქმის სიყვარულმა და იმის შეგნებამ, რომ დიდი პატივია ქართულ წიგნს ემსახურო, რუსუდანს 25 წელიწადი გაატარებინა ამ სტამბაში. დრო არც ისე ცოტაა, ენერგია კი არ მოჰკლებია სახელოვან მანდილოსანს. რუსუდანსა და სხვა უფროს მუშებს ახალგაზრდებმაც დაუმშვენეს მხარი. გიგლა ხურციძე, ფერიდე ლაბაძე, მერი ლაგვილავა და სხვები ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ უფროსი კოლეგებისაგან.

...პირველ სტამბას ტყუილად როდი ჰქვია ეს სახელი. ის მართლაც არავის უთმობს პირველობას.

ა. ივანიძე

სპორტული კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კობა წაქაძე.

# როგორც მასპინძელს შეჰფერის

ვიდრე ბაკურიანში სსრ კავშირის თასი გათამაშდებოდა, უეცრად მიწა იძრა. ამას არავითარი სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. ერთადერთი, ვინც დაზარალდა, იყო კობა წაქაძე. კობას შინ, კარადაში აუარებელი ჯილდოები უწყვია, ჯილდოები, რომელიც მან მოიპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ. რამდენიმე ბროლის ლარნაკი იმსხვერპლა მაშინ მიწისძვრამ. კობამ თქვა: „არაფერია, ნათქვამია: ბევრი ხარის რქანიც ეწევიანო, ისე როგორ წავხდები, ეს დანაკარგი ვერ შევავსოო"... მართლაც, კობამ თავის კოლექციას იმავე კვირაში შემატა ახალი ჯილდოები. მან დაძაბულ ბრძოლებში მოიპოვა სსრ კავშირის თასი. ეს მოხდა 1971 წლის იანვარში. მაშინ კობას ოცდახუთმეტი წელი შეუსრულდა. ამის შემდეგ ორჯერ გაიმარჯვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ჯილდოები. მაგრამ ამ სპორტულ მიღწევიდან კობასათვის ყველაზე სამახსოვრო ჯილდო ის არის, რომელიც მან დაისაკუთრა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველ სპარტაკიადაზე, ეს ასპარეზობა ტარდებოდა მის მშობლიურ ბაკურიანში. კობა მაშინ ძლიერ ეცადა თანამემამულეებთან სირცხვილი არ ეჭამა.

ამ სპარტაკიადაში მან გაასწრო ისეთ გამოჩენილ, პოპულარულ და საშიშ მეტოქეებს, როგორებიც იყვნენ მოსკოველი ნიკოლოზ კამენსკი და ნიკოლოზ შამოვი. და აი, ახლა, თერთმეტი წლის შემდეგ საკავშირო თეთრი სპარტაკიადა სტარტს აიღებს ბაკურიანში, მათ მასპინძლობს მარად ჭაბუკი კობა წაქაძე. ეცდება, ძლიერ ეცდება, რომ მათ მედლები არ გაატანოს, თუმცა სადღაა ძველი მეტოქეები! ახლა უმრავლესობა ტიტულიანი ახალგაზრდობაა (მათ შორის მსოფლიო ჩემპიონები, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულნი), მაგრამ კობამ იცის, მას აქვს უპირატესობა — იგი გადმოხტება მშობლიურ ტრამპლინიდან. თუმცა ვინ იცის, რა უფრო მეტი ექნება კობას — უპირატესობა თუ სიძნელეები. ისინი, ვინც კარგად იცნობენ ბაკურიანის პირობებს და ამაყ, თავმოყვარე კობას ხასიათს, დამეთანხმებიან, რომ კობას ყოველთვის მეტი ჯაფა ადგია, ვიდრე სტუმრებს. არ მეგულება სპორტის ისეთი სახეობა, სადაც შეჯიბრების ბედი ასე იყოს დამოკიდებული „თვითმომსახურებაზე"...

მაგონდება 1970 წლის იანვარი. ბაკურიანში ყველა ელოდებოდა 90-მეტრიანი ტრამპლინის გახსნას. თითქმის მთელი თვის განმავლობაში მზიანი, თბილი, მშვიდი ამინდი იდგა. ბაკურიანელებს ეს არ აკვირვებდათ, დამსვენებლები ნებივრობდნენ. მოთხილამურეებს ეს არ ახარებდათ — თოვლი იყო ძალიან ცოტა. დეკემბრის შემდეგ მისხალი თოვლი არ მოსულა ბაკურიანში. რაც იყო, დღითიდღე ილეოდა.

და აი, შეჯიბრების მონაწილეებმა ტყიდან მოზიდეს თოვლი, თვითმცლელებით, მარხილებით და რამდენიმე ათეული ტონა აიტანეს ზურგით ტრამპლინის ყველაზე მაღალ წერტილზე.

ყველაზე პირველი ტრამპლინთან გამოჩნდებოდა კობა წაქაძე, ყველაზე ბოლოს ის ტოვებდა ტრამპლინს. სწორედ ამ სახელგანთქმულ ვეტერანს ჰქონდა მინდობილი ტრამპლინის განახლება და პირველი საცდელი „გაფრენა" (სწორედ, რომ „გაფრენა"), რადგან ასეთ გიგანტურ ტრამპლინს სიტყვა „ხტომა" ნამდვილად არ შეეფერება.

ბოლოს, როდესაც სამუშაოები დამთავრდა და სპეციალისტებმა ტრამპლინის თოვლით დაფარვა დამაკმაყოფილებლად სცნეს, მსაჯთა კოლეგიამ მეორე დილა „პრემიერის დილად" გამოაცხადა. მაგრამ მეორე დღეს არავითარი პრემიერა არ შემდგარა — ღამე დაიწყო დიდი თოვა, განუწყვეტლივ თოვდა იმ დღეს, ბარდნიდა მეორე დღეს... და ისევ კობამ იმარჯვა, თავის ამხანაგებთან ერთად შეუდგა საქმეს — ტრამპლინიდან თოვლის გადახვეტას.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბაკურიანის ახალმა ტრამპლინმა როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის სპეციალისტების მაღალი შეფასება და აღიარება მოიპოვა. კობა გახდა მისი პირველი რეკორდსმენი, გადახტა რა 107,5 მეტრზე, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ასეთი გიგანტური ნაგებობისათვის.

გაივლის რამდენიმე თვე და ბაკურიანს კვლავ მოაშურებენ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები, რომელთაც მინდობილი აქვთ დაიცვან რესპუბლიკის და ქალაქების ნაკრები გუნდების ღირსება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ აკლია ბაკურიანს, რათა სპარტაკიადას შეხვდეს ყველაფრით აღჭურვილი. იგი იქცეს პირველხარისხოვან საზამთრო სპორტულ ცენტრად. საჭიროა გაყვანილი იქნეს თანამედროვე ჩქაროსნული მაგისტრალები (არა მარტო მიწისზედა), რომლებიც დააკავშირებენ სოფელს ბორჯომთან, ხაშურთან, თბილისთან, აშენდეს კეთილმოწყობილი სასტუმროები, სამთო-სათხილამურო ბაზები, მაღალ დონეზე უნდა მოემსახუროს სპორტსმენებს — აბანო, კინო, გამქირავებელი პუნქტები, მაღაზიები...

ახლა ბაკურიანში დიდი სამზადისია, — ბაკურიანი ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის, ბევრი რამ გაკეთდება ამ ზამთარს. კოხტაგორის მწვერვალიდან სოფელ მიტრაბამდე ფერდობი გადასერა მსოფლიო სტანდარტების დონის ახალმა ტრასამ. კოხტაგორაზე განზრახულია მოეწყოს საბჭოთა კავშირში საუკეთესო სამთო სტადიონი. აქ, კოხტაზე, ადრეც იყო დაგეგმილი სლალომის ლაბირინთები, მაგრამ სწორედ ასეთი ტრასა არ ყოფნიდა მას. ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება აქ ჩატარდეს სამთო-მოთხილამურეთა ნებისმიერი დიდი შეჯიბრებები, რომლებიც ტრამპლინიდან მხტომელთათვის ტრადიციადაა ქცეული.

ბაკურიანის 70 და 90-მეტრიან ტრამპლინებს განსაკუთრებული მონდომებით ამზადებენ, რადგან დარწმუნებულნი არიან ყველაზე მეტი მაყურებელი მათ ეყოლებათ.

...დღეს ბაკურიანი მოგაგონებთ უზარმაზარ სამშენებლო მოედანს, ბაკურიანი ემზადება სპარტაკიადისათვის. ვუსურვოთ მასპინძლებს შეხვედროდნენ სპარტაკიადის მონაწილეებს როგორც მათ შეჰფერით, მონაწილეებს კი კარგი ამინდი და ბედნიერი სტარტი.

გ. არტემიძე

კობა წაქაძე ავარჯიშებს თავის ვაჟიშვილს



ს.-ქ. სსრ კ. მარქს.
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა





შემოდგომის დილაა.

ღრუბლებიდან მზემ გამოჰყო თავი, თანდათან შემოიმაღლა და დედამიწა მოათბო.

გარინდებული გარემო მოულოდნელად ლომის შემაზრზენმა ღრიალმა გააყრუა. აფრთხიალდნენ გნოლები, აჭრიალდნენ ხოხბები, ცალ ფეხზე შეს-კუპებულმა წერომ ფეხი მოინაცვლა.

რქებგადაგრეხილმა ჯიხვმა ბექობი აითავა, ფრიალო კლდეს მოევლო თავზე, ცის დასალიერთან მდევებივით დაყურსულ კავკასიონის მთებისაკენ მოიღერა ყელი და კენტად დარჩენილ გულის-ტოლს შებღავლა.

ზოოპარკი პატარებით აივსო.

აქ. ცხოველთა და ფრინველთა ამ მრავალფერო

# ზოოპარკში





# ივანიანამ რა ჰქმნა?

*იუმორისტული მოთხრობა*



დილაადრიან გამეღვიძა. სამსახურში მაგვიანდებოდა, მაგრამ საწოლიდან ველარ წამოვდექი. ოდნავი განძრევაც კი ჯოჯოხეთურ ტკივილებს მაყენებდა. არ ვიცი, საიდან მეტაკა წელკავი, გავცივდი თუ დაწუნებული საცოლის დედინაცვლის წყევლა მომეწია. შიმშილით გული რომ არ წამსვლოდა, რის ვაივაგლახით იქვე მაგიდაზე მდგომი ტელეფონი დავითრიე, სასწრაფო დახმარების ნომრები ავკრიფე, მაგრამ ზუმერი არ გადიოდა. სადაც კი დავრეკე, არავინ მიპასუხა. შიშმა ამიტანა.

უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩამსხვრეულ მინაზე მიკრულმა გაზეთმა. მეოთხე გვერდი სხვადასხვა რეკლამით იყო აჭრელებული. მათ შორის მთავრულით აწყობილი განცხადება ამოვიკითხე. რესტორან „თათარიახნის" დირექცია იუწყებოდა: „თუ გნებავთ ათი პროცენტის დაკლებით მრავალფეროვანი ნუგბარი კერძები შინ მიირთვათ, ნუ დაიზარებთ, დარეკეთ შემდეგ ნომერზე"... კბილების კაწკაწით სასწრაფოდ ავკრიფე აღნიშნული ნომერი და. ოი საოცრებავ, ყურმილში გაისმა ქალის მინაზებული დისკანტი: „მოგესალმებათ რესტორან „თათარიახნის" შინ მომსახურების დამკვეთი მაგიდის პასუხისმგებელი მორიგე ვიოლეტა შინდაგორიძე".

— გეთაყვა, მიიღეთ შეკვეთა, — ძლივს ამოვიკვნესე.

— ჩვენი რესტორანი გთავაზობთ: — ხოშკაკალასავით დააყარა ვიოლეტამ, — პიტნაში გადაზელილ ყველს, სამნაირ ხიზილალას, ზეთისხილს, მუჟუჟს, ხაშლამას, ცივად მოხარშულ ბურვაკის ნეკნებს, თონეში შებოლილ შაშხს, ქოთნის ლობიოს, კეცის ხაჭაპურს, ღველფში ამორუჯულ მჭადის კვერებს, შებრაწულ შოთებს, ყველა სახის მხალეულს, მწნილეულსა და თევზეულს. წვნიანებიდან გვაქვს: ჩიხირთმა, ნიგვზიანი ხარჩო, ბოზბაში, ფითი, არტალა, ჩობანყაურმა, საჩხრეკელა და თათარიახნი. არა გვაქვს დოს შექამანდი, მთხლის შექამანდი, ბოლოწო და მახოხი. მეორე თავი კერძებიდან მოგართმევთ ლავაშში გახვეულ კოწახურმოყრილ ლულა-ქაბაბს, ყარიჯულ ბოხოხს, შიგნეულის კუპატს, აფხაზურას, შემწვარ იხვს, კუჭმაჭს, ხოხბის ჩახოხბილს, ღორისა და ხბოს მწვადს, ინკუბატორის ვარიას, სუკებსა და შემწვარ ინდაურს კომშით, კატლეტი, ეს-ეს არის, გაგვითავდა, — მოიბოდიშა შინდაგორიძემ. — ჩაროზიდან გთავაზობთ ანანასის ნარაჯს, ზღმარტლს, ფეიხოას, ღორქლიავასა და სინგაპურულ ბანანს.

ნერწყვის ყლაპვით შევუკვეთე სანიაზო კერძები და მოკლედ ვაუწყე ჩემი გაჭირვების ამბავი. ის იყო ყურმილი უნდა დამედო, რომ კვლავ გაისმა ქალის სუპერმინაზებული დისკანტი:

— თქვენი შეკვეთის ნომერი გახლავთ ცამეტი. დაკვეთა მიიღო ვიო შინდაგორიძემ, 4 საათზე და 17 წუთზე ადგილობრივი დროით, მოგემსახურებათ ექსპრეს მომსახურების კვალიფიციური მიმტანი ცეზარ შურდულაძე. საჩივრის წიგნი ინახება მიმტანის პორტფელში. მომავალ დაკვეთამდე, ძვირფასო მომხმარებელო.



ფოტო გონდო დადვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვან სამყაროში, წელიწადის დროს მნიშვნელობა არა აქვს: ზამთარშიაც ხალხმრავლობაა, ზაფხულშიაც — ხალხმრავლობა. ბაჯბაჯა დათვს, მძინარა ბეჰემოტს, კუდაგრძელა მელასა და, თუ გნებავთ, ოინბაზობით სახელგანთქმულ მაიმუნს — „ჩიტას“ გაზაფხულობითაც უამრავი მნახველი ჰყავს და შემოდგომითაც.

შემოდგომაა.

წყლით სავსე აუზში თეთრი დათვი ნებივრობს. სპილო თივას შეექცევა, დეზებიანი არწივი გაბოროტებული ჰკორტნის სისხლიან ხორცის ნაჭერს.

„ჩიტას“ რაღაც ოინი გაუკეთებია, ახარხარებულ ბავშვებს Ըსახიობივით უკრავს თავს და გაწვდილი ხელით თხოულობს სასმუსნავს.

იცინიან პატარები, გულღიად იცინიან და, მაიმუნის ოინებით კმაყოფილები, ახლა მურა დათვის, Ըიანგების, ჭრელ-ჭრულა ზებრასა და ფინიასთან დამეგობრებული ნადირთა მეფის — ლომის სანახავად მიიჩქარიან.

ზუსტად ათი წუთის შემდეგ კარი ხმაურით გაიღო. დერეფნიდან სმოკინგში გამოწყობილი ბლიცმომსახურების მიმტანი გულთბილად მომესალმა. დაგვიანებისათვის „პარდონ“ შორიდან მომაძახა, ოთახში შურდულივით შემოიჭრა, ილუზიონისტის სიმარჯვით სპეცჩანთიდან ნუგბარი კერძები ამოალაგა, ანგარიში გამომიწოდა, თბილად დამემშვიდობა და წავიდა. მეორე დღეს პოლიკლინიკიდან მოსულმა გულისხმიერმა ექიმმა ისე, სხვათაშორის წნევა გამისინჯა, მწვავე წელკავის დიაგნოზი დამისვა, ბიულეტენი გამიხსნა და კატეგორიულად გამაფრთხილა, ცივი წყლით წელი არ დამეზილა. იმავე დღეს ფანჯრის მინაზე გაკრული სარეკლამო გაზეთში მოთავსებული განცხადებების წყალობით საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს ტელეფონით დავუკავშირდი. სასწრაფოდ გამოგზავნილ დალაქს ექვს შაურად პირი გავაპარსინე. მესამე დღეს უნივერსალური სპეციალისტი მეახლა. მტვერსასრუტი, კედლის საათი, შვიდსიმიანი გიტარა და პიანინო ავაწყობინე, სამზარეულოში ჩამოცვენილი ფილები გავაკვრევინე, დაზიანებული იაპონური ტრანზისტორი შევაკეთებინე. გამოთხოვებისას ხელოსანს ნიხრით გათვალისწინებული საფასურის გარდა სამალარიჩო ფული გავუწოდე, მაგრამ კედელს თავი ახალა, ეგ როგორ მაკადრეთო.

არც მომდევნო დღეებში ვიყავი გულხელდაკრეფილი, ტელეფონთან ვიჯექი, ფანჯარაზე გაკრულ გაზეთში ცხვირი მქონდა ჩარგული და საოჯახო საქმეებს ვაგვარებდი. ერთი სიტყვით, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ჩემს გემოზე მოვიმსახურე, მაგრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მაინც მომვლელმა ქალმა დატოვა. „გუდ მონინგ“, — შემოსვლისთანავე მომესალმა, ყირმიზისფერი მიხაკი მოკრძალებით გამომიწოდა და ნაზი ხმით მაუწყა: „კვაშიმ უსლუგამ ნიანია იზ ბიტავოი აბსლუჟივანია — კეტევან კაიხოსროვნა ბარდაველიძე“.

— სამსონ კალისტრატოვიჩ ვაჩაბერიძე, — წარვუდგინე ჩემი თავიც.

— ორ დღეში ფეხზე წამოგაყენებთ, მითხრა მომვლელმა ქალმა, თან ჯიხვის ყანწივით ხელში ამიტაცა და ნესტიანი სარეცლიდან მშრალ სასთუმალზე გადამიტანა. მერე მდოგვის ფაფით საფეთქლები დამიზილა, გახურებული უთო წელზე გამისვა, ფეხები მდუღარე წყალში ჩამაყრევინა, მურაბიანი ჩაი დამალევინა და ოფლი მადინა. ერთი სიტყვით, საყვარელი დედინაცვალიც კი ვერ მომივლიდა ისე ყინჩად, როგორც მე ის მომვლელი ძიძა-ქალი მივლიდა. ხან ინგლისურ ენაზე — ესპანურ ზღაპრებს მიკითხავდა, ხან ბანტიან გიტარაზე ბოშურ სიმღერებს მიმღეროდა, ხან გუგულივით ტახტზე ჩამომისკუპდებოდა, პრეფერანსეს ან კუნკენს მეთამაშებოდა, ხან ცალი ხელით ბუზებს მიგერიებდა, მეორეთი კი — ინდისხურმას მაჭმევდა. ხშირად გოგლიმოგლს ან თოხლო კვერცხს მაყლაპებდა და „დეკამერონიდან“ ყრუანტელის მომგვრელ სალაღობო ნოველებს მიყვებოდა. ძილის წინ, როგორც წესი, კამეჩის გაწურულ მაწონს, ან ასკილის ნაყენს მასმევდა და ტკბილი ხმით ფრანგულ ენაზე, ინგლისური აქცენტით, იმერულ იავნანას მიგალობდა. მოხიბლული ვიყავი ქეთინოს ოჯახის ქალობით, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მისი გულშიჩამწვდომი იავნანა მომწონდა. ადრე დავობლდი, დედა ბუნდოვნად მახსოვდა და ქეთინოს გალობა შორეულ წარსულს მახსენებდა. მალე რესტორან „თათარიახნის“ კალორაჟიანი გემრიელი კერძების და მომვლელი ძიძა-ქალის წყალობით მოვფერიანდი და წონაშიც მოვიმატე. ის იყო გადავწყვიტე გაქირავების კანტორიდან ჩალის ფასად ფერადი ტელევიზორი გამომეტანა და ტელესტუდიიდან გადმოცემული ახალ-ახალი ფერად-ფერადი ფილმებით დავმტკბარიყავი, რომ ამ დროს კარგად გავხდი.

გავიდა ხანი, ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ ვეცადე ქეთინოსთან შეხვედრა. მაგრამ ამაოდ. იგი თურმე სხვა ქალაქში გადაეყვანათ სამუშაოდ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ერთ მშვენიერ საღამოს ჩემს ბინაზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ალო, ვერ მიცანით? — გაისმა ქალის აღელვებული ხმა.

— ვერა, ვერ გიცანით.

— ქეთო ვარ.

— რომელი ქეთო? — შევეკითხე დაინტერესებით.

— ქეთევან ქაიხოსროვნა. აი ის, ყოველ საღამოს გაწურულ მაწონს რომ გაჭმევდი და გიტარაზე ბოშურ სიმღერებს გიმღეროდი.

— ნამდვილად ვიღაც უსაქმურია! — გავიფიქრე და ის იყო ყურმილი უნდა დამედო, რომ ქალმა დაბალი ხმით ფრანგულ ენაზე, ინგლისური აქცენტით, იმერული იავნანა წამოიწყო. ამ მელოდიამ ბუნდოვნად რაღაც გამახსენა და სმენად გადავიქეცი. მელოდია თანდათან ძლიერდებოდა, ამ ხმაში ქალის ნაღველი, სევდა, გაცრუებული იმედი, წყალში ჩაყრილი ამაგი და თავდავიწყება იგრძნობოდა. უეცრად ტანში ყრუანტელმა დამიარა და თავდავიწყებით შევყვირე: „გიცანი, გიცანი, ქეთევან ქაიხოსროვნა!“ ქეთინომ იავნანა შესწყვიტა და შვებით ამოისუნთქა. ერთი თვის შემდეგ მე და ქეთინომ ქორწინების სახლში ხელი მოვაწერეთ და იმავე დღეს საქორწინო მოგზაურობის მარშრუტად დაღესტანი ავირჩიე. ამჟამად მახაჩყალაში ვართ, ჩვენი სასიქადულო პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის შორეული ნათესავის ოჯახში. დაღესტნელ ქალებთან ერთად გატაცებით ვკითხულობთ გოგებაშვილის უკვდავ მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა?“ და თან ბროლის ჭიქებით ვსვამთ საბჭოთა ქალების, კერძოდ, ქართველი ბედნიერი ქალების სადღეგრძელოს.

თენგიზ პირველი

# ნაირ-ნაირი



## ჯარიმა

დანიაში დღემდე არსებობს უძველესი ადათი, რომლის მიხედვით ქალიშვილს შეუძლია ხელი სთხოვოს ვაჟს. ეს უფლება ძალზე შეზღუდულია: იგი ძალაშია მხოლოდ ნაკიანი წლის ბოლო დღეს — 29 თებერვალს.

იმ შემთხვევაში, თუ ვაჟი უარყოფს შეთავაზებულ ქორწინებას, იგი მოვალეა, განაწყენებულ ქალიშვილს ჯარიმის სახით მიართვას თორმეტი წყვილი ძვირფასი ხელთათმანი.



## ინტერვიუ პრეზიდენტთან

ბრაზილიის დედაქალაქში შეიქმნა ბრაზილიელ მათხოვართა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის პირველ პრეზიდენტად ზარზეიმით აირჩიეს ვეტერანი მათხოვარი ინდიო ესტევო კუნჟა.

— ჩვენი ძალა ორგანიზებულობაშია, — განაცხადა კორესპონდენტთან საუბარში მათხოვართა პრეზიდენტმა, — უახლოეს ხანში შევიმუშავებთ გეგმას, რომელშიც ზუსტად იქნება განსაზღვრული თითოეული მათხოვრის მოქმედების რაიონი. ერთ მონაკვეთზე ორი მათხოვრის ერთდროული მოქმედება გამოირიცხება.

შეკითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც ქალაქი ბრაზილია აირჩიეს მათხოვართა გაერთიანების ცენტრად, პრეზიდენტმა უპასუხა:

— ამ ქალაქში შედარებით უფრო გულუხვად იძლევიან მოწყალებას.



## სასჯელის უმაღლესი ზომა

42 წლის ამერიკელი ჯერალდ ბიშოპი ისე აალელვა თავისი საყვარელი ბეისბოლის გუნდის წაგებამ, რომ შაშხანას დასტაცა ხელი და ტელევიზორს, რომლითაც იგი მატჩს უყურებდა, ზედიზედ 17 ტყვია დაახალა.

ავტომატური შაშხანის ჯერმა, ტელევიზორთან ერთად, მეორე ოთახის ახლად გარემონტებული კედელიც დააზიანა.

შემთხვევის ადგილზე მოსულ პოლიციას ჯერალდ ბიშოპმა განუცხადა: ამ შემთხვევაში მე მოსამართლის როლში გამოვდივარ. როგორ, განა უფლება არა მაქვს, რომ ჩემს საკუთარ ტელევიზორს, საჭიროების შემთხვევაში, დახვრეტის განაჩენი გამოვუტანო და სისრულეში მოვიყვანო იგი?!



## ტურისტის ბედი

იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს ტურისტი, რომელმაც ვერ მოასწრო დაბინდებამდე დაბრუნებულიყო სასტუმროში, ნიუ-იორკელმა პოლიციელებმა მახვილგონივრული ექსპერიმენტი ჩაატარეს.

დაგვიანებული ტურისტის როლი გაითამაშა გამოცდილმა პოლიციელმა პატრიკ კუინმა. კოხტად გამოწყობილი „უცხოელი ტურისტი“ გვიან ღამით გამოვიდა სასტუმროდან და ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცენტრალურ პროსპექტზე მარტოდმარტომ დაიწყო სეირნობა.

აი ჩანაწერი, რომელიც გააკეთა მეორე პოლიციელმა, რომელიც შეუმჩნევლად უთვალთვალებდა პატრიკ კუინს:

„ღამის თერთმეტი საათი. კუინთან ოთხი მოზარდი მიიჭრა. დანაამოწვდილმა მოზარდებმა გამვლელს ხელიდან საფულე წაგლიჯეს.

პირველის თხუთმეტ წუთზე ორმოცდაათ წელს მიტანებულმა კაცმა კუინს მაჯის საათი წაართვა.

ზუსტად პირველ საათზე კუინს ოცი წლის კაცი წამოეწია, დანა იშიშვლა და, სიკვდილის მუქარით, თითიდან ძვირფასი ბეჭედი წააძრო“...

ეს ჩანაწერი კიდევ შეიძლება გაგრძელებულიყო.

ახლა არავის აღარ უნდა უკვირდეს, თუ რატომ ერიდებიან უცხოელი ტურისტები ნიუ-იორკში ჩასვლას და ღამით გარეთ გამოსვლას.

## ტრიბუნიდან ციხეში

ქალაქ პაისანდში (ურუგვაი) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი... ციხე. მიტინგზე სიტყვით გამოსული ქალაქის მერი დიდხანს დავობდა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გამხდარიყო ახალი ციხის პირველი „საპატიო“ პატიმარი.

კანდიდატთა შორის დასახელებულები იყვნენ ცნობილი ქურდები, ბანდიტები, ყალბისმქნელები, მკვლელები. დავამ დიდხანს გასტანა. კანდიდატის შერჩევა მეორე დღისათვის გადაიდო.

დილით ქალაქის მერი პოლიციამ დახურული მანქანით მიიყვანა ციხეში და პირველი პატიმრისათვის საგანგებოდ გამოყოფილ საკანში დაამწყვდია.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ქალაქის მერი თურმე მსუბუქი ავტომანქანების კონტრაბანდისათვის დააპატიმრეს.



## ზოგი ჭირი მარგებელია

ისრაელში ამას წინათ გაფიცვა გამოაცხადა სახელმწიფო ჰოსპიტლების რამდენიმე ათასმა ექიმმა, რომლებიც შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

გაფიცვის შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა: ერთი თვის მანძილზე, ვიდრე მედიცინის მუშაკთა გაფიცვა გრძელდებოდა, ისრაელში მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობა.

მაგალითად, ერთ-ერთ დიდ ქალაქში — ხაიფში, აღნიშნულ დროში, სიკვდილიანობის შემთხვევებმა ზუსტად ორჯერ დაიკლო.

## „დროშის“ № 10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:**

3. როდენი. 5. ომბალო. 9. ბაირამი. 10. არქტიკა. 11. მოზაიკა. 13 მიუსე, 14. კალია. 15. კოდაი. 17. გაბრო. 22 იკაროსი. 24. ბარბონი. 25. ბრიტენი. 26. ილიონი. 27. ანონსი.

**ვერტიკალურად:**

1. ბომბეი. 2. ილიადა. 4. ემისარი. 6. ბეირუთი. 7. მირზა. 8. მანია. 11. მასიასი. 12. ამაზარი. 16. ონტარიო. 18. რანჩერო. 19. კასიო. 20 კოლბა. 21 ბაბელი. 23. ელიფსი.

გადაეცა ასაწყობად 9/X-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI-73 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.300, შეკვ. № 3814. უე 13612. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# კაკალ გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლა ფირცხალავა



— მალარიჩი უნდა გადავიხა-
დო. ჩემს ქალიშვილს თვრამე-
ტი წელი შეუსრულდა.
— ათხოვებ?
— არა. დღეიდან ალიმენტს
აღარ გადავიხდი.





— რა კარგი გოგოა!
— გოგო კი არა ჩვენი უბ-
ნელი ბიჭია.



— ექიმო. ისეთი წამალი გა-
მომიწერე. რომ აფთიაქში იშო-
ვებოდეს

უსიტყვოდ





ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა